საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 15 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.

რედ. და კანტორის ადრესი: რუსთაველის ქ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 234 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 234

უღრმეს მწუხარებს გამოვსთქვამ ანდრო კეკელიძე ძვირფასი მამიდაშვილის და დაუღალავ ახალგაზრდა მუშაკის

**ლუარსაბ სიხარულიძის**

უდროოდ დაკარგვის გამო და თვალცრემლიანი ვიზიარებ მისი დედის, დების, ძმის, ნათესავების და ამხანაგების უსაზღვრო მწუხარებას. (2693—1—1)

## ხსნა შეთანხმებაშია

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია მეტად საყურადღებო შინაარსის მიწერ-მოწერა სომხეთისა და ადერბეიჯანის რესპუბლიკათა მთავრობებს შორის კითხვა ზანგეზურის მაზრის ეხება. სომხეთის მთავრობის ცნობით ზანგეზურის მაზრა იარაღით ხელში დაუპყრია ადერბეიჯანის ჯარებს. სომხეთის წარმომადგენელი ამის შესახებ პროტესტს აცხადებს, ვინაიდან ეს მაზრა ბრიტანეთის უმაღლეს სარდლობის მიერ არარატის რესპუბლიკის გამგებლობაში არის გადაცემული, და თანაც დასძენს, რომ, თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა და სომხეთის ინტერესები არ იქნა დაკმაყოფილებული, მთელი ამიერ-კავკასია საშინელ ომის ცეცხლში გაეხვევაო.

ადერბეიჯანის მთავრობა გადაჭრილი უარით უპასუხებს ზემოხსენებულ ნოტაზე. შორს ხელი! ზანგეზურის მაზრასთან არავითარი საქმე არ აქვს სომხეთს. ამ მაზრის ბედი ადერბეიჯანის შინაური საქმეა, და ამიტომ არავითარ არსებით პასუხს არ აძლევს სომხეთის მთავრობას ნოტაზე.

სომხეთის მთავრობა თავის საპასუხო ნოტაში კიდევ ერთხელ აფრთხილებს ადერბეიჯანს, რომ კითხვის ძალით გადაჭრა უეჭველად ომს გამოიწვევსო და ამიტომ წინადადებას აძლევს სადაო საკითხი დიპლომატიური მოლაპარაკებით და მშვიდობიანი გზით გავათავოთო.

ჩვენ არ შევდივართ ამ ჟამად იმის გარჩევაში, თუ ვის მხარეზეა სიმართლე. ჩვენ გვინდა მხოლოდ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დემოკრატიების ყურადღება მივაქციოთ იმ შავ ღრუბელს, რომელიც კვლავ ამიერ კავკასიის ცის კიდურზე გამოჩნდა და რომელიც ცეცხლის და სისხლის წვიმას გვიქადის. მეტი სიფრთხილე და მეტი აქტივობა, რომ ეს საშინელი ღრუბელი გაფანტულ იქნას, რომ ომის მწარე ფიალა ასცილდეს ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს. ჩვენ კიდევ და კიდევ ვიმეორებთ, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ბედნიერება და თვით მათი არსებობა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ისინი შესძლებენ ურთიერთშორის საკუთარის ძალითა და საშუალებით მშვიდობიანი განწყობილების დამკვიდრებას. ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ ის დებულება, რომ „ქვეყნის მოუწყობლობა თვით იწვევს გარეშე ძალას საქმეში ჩასარევათ“; ხოლო ასეთი ჩარევის შედეგი ყველასათვის აშკარა უნდა იყვეს. თფილის ბაქო ერევნის სახელმწიფოს ბედი მძლავრათ არის ერთი-მეორეზე გადაჯაჭვული ეს მტკიცეთ უნდა იქნეს შეთვისებული. ამ რესპუბლიკების მიერ და მათი საურთიერთო პოლიტიკის ურყეველი გეზი შემდეგ ფორმულაში უნდა იხატებოდეს: „ცოცხლე თვით და აცოცხლე მეზობელიც“. წინააღმდეგ შემთხვევაში ზოგიერთებს დარჩება სათქმელად „შენც წახდი, მეც წამახდინე“. ამიერ-კავკ. რესპუბ. შორის ომი და შუღლი აძლიერებს მხოლოდ ამ რესპუბლიკათა არსებობის მტრებს. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ მესამეს ახარებს და როდესაც ეს რესპუბლიკები ერთი მეორეს სისხლისგან დასცლიან, მაშინ დაჰკრავს ჟამი ამ გარეშე ძალის შემოსევისა და ის ყველას გაასწორებს, ხოლო ამ საერთაშორისო ოქროს გამასწორებელი იქნება მაშინ ის სამარე, რომელსაც ესა თუ ის დიდი იმპერიალისტური სახელმწიფო გაუთხრის ამ რესპუბლიკათა არსებობას.

სამივე რესპუბლიკის მესვეურთ უნდა ახსოვდეთ, რომ ადერბეიჯან საქართველო სომხეთი იარსებებენ როგორც კეთილ განწყობილნი სახელმწიფონი, ან სრულიად არ იარსებებენ და სხვისი ქონი გახდებიან.

მაქსიმუმის დათმობა ურთიერთ შორის და ამიერ კავკასიის კავშირის მჭიდრობიანის გზით გამოხსნა, აი ასეთია ერთათ ერთი სწორი გზა და ვინც ამ გზას გადაუხვევს, ისტორიის რისხვაც პირველად მას დაატყდება თავს.

## ქუჩური პრესის სამწერლო ჩვეულებანი

„სახალხო საქმეზე“ მოგახსენებთ. ამ გაზეთის ერთ ერთმა ხელმძღვანელმა ბ. სამსონ ფირხალავამ ერთხელ კარგა მოზრდილი წერილები მოათავსა ამავე გაზეთში ადგილობრივი პრესის დაქვეითებაზე და გაზეთის მუშაკთ მოუწოდა ლიტერატურულ ეთიკისაკენ.

როგორ ასრულებს „სახალხო“ თავისი მოძღვრის მოწოდებას? დასახასიათებლად საკმაოა დავასახელოთ ის განგაში, რომელიც მან ასტეხა ეროვნულ დემოკრატების შეკითხვის გარშემო.

ამ განგაშის ავტორი ბრძანდება ბ. სამს. დადიანი. ბ. დადიანის გამოსვლა დამფუძნებელ კრებაში ჩვენ დავახასიათეთ როგორც ქორიკანობა, რადგან ბ. დადიანმა ასტეხა სიტყვების კორიანტელი, მძიმე ბრალდებები წამოაყენა მთავრობისა და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, მაგრამ ამისთვის მან მიმართა ისეთს ფორმას, რომელიც ყოვლად დაუშვებელია: ბ დადიანმა არც ერთი მომქმედი პირი არ დაასახელა და ამით სიმართლის აღდგენის საშუალება მოგვისპო.

ამ დაუშვებელ ნაკლის გამოსწორებას ბ. დადიანი „სახალხო საქმის“ ფურცლებზე შეუდგა.

მაგრამ როგორ „გამოასწორა“ მან ეს საქმე? მართლა გაჰფანტა მან ქორების ის ბურუსი, რომელიც დამფ. კრების კათედრაზე შექმნა?

ბ. დადიანმა „სახალხოში“ აასრულა მხოლოდ ჩვენი მოთხოვნა დამნაშავეთა დასახელების შესახებ. მან დაასახელა ზოგიერთი გვარები, მაგრამ ფაქტების გაყალბება და მათი გადმოცემის ქორიკანული ფორმა ბ. დადიანმა ისევ დასტოვა. ალბათ ასეთი ყოფილა ბ. დადიანის ბუნება, თორემ რაც მას კათედრაზე მოუვიდა ღელვების ნიადაგზე, დამშვიდების შემდეგ შეეძლო აეწონ-დაეწონა და აღარ გაემეორებია. მან კი ქორი „სახალხოში“ მოათავსა, ეს ქორი „საქართველომ“ გადაბეჭდა და დღეს მას იმეორებს იმავე „სახალხოში“ ვინმე მ. (იხ. „სახ. საქ.“ № 652).

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ბ. ბ. ჩხიკვიშვილის წერილი. როგორც ამ წერილიდან სჩანს და როგორც ამას ამოწმებენ სოხუმელი ჩვენი ნაცნობებიც ორივე ამბავი მომხდარა 1917 წელს, რევოლიუციის პირველ თვეებში.

რა შუაშია ჩვენი მთავრობა, რომელიც პასუხს აგებს მხოლოდ 1918 წლის 26 მაისიდან?.

მაგრამ იქნებ ჩვენმა მთავრობამ დამალა ეს ამბავი. ბ. კარტოზიას შესახებ საქმე ყოფილა სასამართლოში. ნებოს ბ. დადიანმა და დაამტკიცოს: 1. რომ ხამინისტრომ იცოდა, რომ კარტოზიას წინააღმდეგ მძიმე ბრალდება იყო წამოყენებული, მაგრამ მაინც დანიშნა ადგილზე; 2. სასამართლომ მოითხოვა მისი სამსახურიდან დათხოვა და არ დაითხოვეს. ქორი 2. კარტოზიას კაცი შემოაკვდა სიმთვრალის დროს. ეს საქმე სასამართლოშია. რა ნება აქვს ბ. დადიანს კვალიფიკაცია უყოს ბ. კარტოზიას საქციელს, სანამ სასამართლოს არ უთქვამს უკანასკნელი სიტყვა? ან რა შუაშია აქ ან მთავრობა და მით უმეტეს სოც.-დემოკრატია?

ქორი 3. ბ. დადიანმა, როგორც დამფუძ. კრებაში, ისე „სახალხოში“ ისე აწერა მიხეილ წულუკიძის მოქმედება, თითქოს ის ქეიფობდა საროსკიპოში და პირში რევოლვერი ჩაუდო მეარღნეს და მოჰკლა. ნამდვილად კი წულუკიძეს კაცი შემოაკვდა მოვალეობის ასრულების დროს. ვეკითხებით ბ. დადიანს: არის თუ არა განსხვავება და დიდი განსხვავება სინამდვილესა და იმ აღწერას შორის, რომელიც ბ. დადიანმა მოგვცა?

ქორი 4. ბ. დადიანის გადმოცემით ბოროტი პიროვნება მიხეილ წულუკიძე ჩვენს პარტიაში მუშაობს. ნამდვილათ კი მას ბოროტება არ ჩაუდენია და იმ სამწუხარო ფაქტის შესახებ, რაც მიხ. წულუკიძეს მოუვიდა, კარგათ იცოდნენ თვით დადიანის ამხანაგებმა, სოც.-ფედერალისტებმა, რომელნიც თითონ ღებულობდნენ მონაწილეობას წულუკიძესთან ერთად წესრიგის დაცვაში. შემდეგ იმავ ფედერ. გვარდ. თანხმობით დამოუკიდებლად ნაწილეობით იქნა წულუკიძე არჩეული გვარდიის შტაბის თავმჯდომარეთ და ხელმძღვანელათ. და ყოველივე ამის შემდეგ, რა სახელი უნდა ვუწოდოთ ბ. დადიანის გამოლაშქრებას? სანამ ის დამფუძნებელ კრებაში ავრცელებდა ქორებისაგან მოქსოვილ ამბავს, ჩვენ გვეგონა, რომ საქმე გვქონდა უნებლიეთ შეცდომასთან, მაგრამ, როცა ის პრესაშიც გამოდის იმავ ქორებით, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვსთქვათ: ჰოი, სირცხვილო, სადაა სიწითლე შენი!

## კიდევ ერობის ბეჭდვითი ორგანოს შესახებ

საერობო ბეჭვდითი ორგანოს საკითხი ამ ბოლო დროს პრესის ყურადღებას იპყრობს. და დროც არის: ბეჭვდითი ორგანო ერობათათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. უამისოდ ერობები ერთიერთმანეთს მოწყვეტილნი არიან, ერთი-ერთმანეთისა არა იციან რა, ერთი-ერთმანეთის მაგალითით სარგებლობა არ შეუძლიათ.

როგორი ბეჭვდითი ორგანო ესაჭიროება ერობებს? ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვა „საქ. რესპუბლიკა“-ში დ. ს—ლმა. მისი აზრით, ერობას არ ესაჭიროება ისეთი ტიპის ორგანო, როგორიც არის თვიური ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“: „ამისთანა ტიპის ჟურნალი ამ ჟამად მიუღებელია, დრო მოჭმულია“, ავტორი ფიქრობს, რომ ჩვენი ერობებისათვის ყველაზე უკეთესი იქნებოდა ყოველ კვირეული ჟურნალი, რადგან ასეთი ორგანო „ერობათა მოღვაწეებს და ჟურნალის რედაქციას ერთმანეთში გადააჭდობს, ყოველ დღიურ კითხვას და პრაქტიკულ მოქმედებიდან ამოგლეჯილ ხლართებს სასწრაფოთ გადასჭრის.“

ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ ერობისათვის საჭიროა მოძრავი ბეჭვდითი ორგანო, საუკეთესო იქნებოდა, რომ ერობას თავისი ყოველ-დღიური გაზეთიც კი ჰქონოდა. მაგრამ ყოველ დღიური და ყოველ კვირეული გაზეთის დანიშნულება სულ სხვაა, ვიდრე თვიური სქელი ჟურნალისა. დღეს ჩვენი ერობა ამშენებლობის პროცესშია; ერობის გამოცდილ მოღვაწეთა რიცხვი მეტათ მცირეა; კიდევ უფრო მცირეა მათი თეორიული მომზადება და მეტადრე პრაქტიკული ცოდნა. ყოველ-კვირეული გაზეთი მათ ვერ მიაწვდის იმ საფუძლიან ცოდნას, რაც აუცილებლად სჭირდება ერობის მოღვაწეებს; ყოველ-კვირეულ გაზეთში შეუძლებელია ფართე საერობო საკითხების გაშუქება, მკითხველების უცხო ქვეყნების ერობების პრაქტიკა-თეორიასთან გაცნობა. „პრაქტიკულ მოქმედებიდან ამოგლეჯილ ხლართებმა“, ე. ი. ერობის ცხოვრების ყოველდღიურმა ჭირ-ვარამმა, არ უნდა დაგვავიწყოს უფრო დიდი, უფრო ძირითადი საკითხები; თუ ამ წერილმა ნებს გაზეთი სჭირიან, ძირითად საკითხების გასაშუქებლათ გაზეთი სრულიად საკმარისი არ არის, ამას ესაჭიროება სწორედ სქელი ჟურნალი.

ასეთი ჟურნალი უკვე არსებობს, მხოლოდ იგი ეკუთვნის ქალაქთა კავშირს და განსაკუთრებულ ყურადღებას ქალაქის თვითმართველობას აქცევს, თუმცა ხალხის და ერობის თვითმართველობა ისე მჭიდროთ არიან გადაბმული, რომ ეს ჟურნალი აუცილებლად ერობასაც ემსახურება. საჭიროა ეს სამსახური ფაქტათ იყოს აღიარებული და ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“ გადაიქცეს საერთოდ თვითმართველობის ორგანოდ, როგორც ქალაქის, ისე ერობის, ეს მისაღები იქნებოდაო ეკონომიის მხრივაც! ტეხნიკურათ უკვე მოწყობილ ჟურნალ „კავკასიის ქალაქის“ თვითმართველობის ორგანოთ გადაქცევა მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ჟურნალის რედაქცია გაფართოვდეს ერობის მოღვაწეთა შიგ შესვლით.

მოხსენებულ წერილის ავტორს, როგორც ეტყობა, არ მოსწონს, რომ „კავკასიის ქალაქში“ წერილები ქართულთან ერთად რუსულ ენაზედაც იბეჭდება. ჩვენ ეს გარემოება არ მიგვაჩნია საზიანოდ. ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“ მარტო საქართველოს რესპუბლიკისათვის არ იბეჭდება. მას გასავალი აქვს ადერბეიჯანშიც, სომხეთშიც, მთაშიც და თვით თერგის და ყუბანის ოლქშიც. მართალია, ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებში ჯერ ჯერობით ერობა არ არის შემოსული, მაგრამ ქალ. თვითმართველობა იქ არსებობს, ამ თვითმართველობის პრაქტიკის გაცნობა ჩვენთვისაც სასარგებლო და საგულისხმოა. მეტადრე სასარგებლოა ჩვენ მეზობელ სახელმწიფოთა დემოკრატიისათვის ჩვენი თვითმართველობის პრაქტიკის გაშუქება. ჟურნალის საშუალებით მეზობელ სახელმწიფოთა დემოკრატიები გაეცნობიან ერთმანეთის თვითმმართველობას, მუნიციპალური აზრი ამ ჟურნალში იპოვის თავის ცენტრს, ერთად ამუშავდება და უფრო მეტს ნაყოფს გამოიღებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი სახელმწიფოს მუნიციპალური ცხოვრება მეორესთან მოშორებულია.

აი, ამ მოსაზრებით ჩვენ გვგონია, რომ საჭიროა და სასარგებლოა არსებობა იმ ტიპის ჟურნალისა, როგორიც არის „კავკასიის ქალაქი“. საჭიროა ეს ჟურნალი გადაიქცეს საზოგადოთ თვითმართველობის ორგანოთ, რომელიც ერთნაირად ემსახურება როგორც ქალაქის თვითმართველობას, ისე ერობას.

## უკანასკნელი ცნობები

**მიწერ მოწერა სომხეთსა და ადერბეიჯანის მთავრობებს შორის ზანგეზურის შესახებ.**

ადერბეიჯანის რესპუბლიკების დიპლომატიურ წარმომადგენელს სომხეთის მთავრობასთან. 23 სექტემბერს, 1919 წ. № 93.

„უკანასკნელ ხანებში სომხეთის მთავრობას მოსდის ცნობები, ადერბეიჯანის სამხედრო მზადების შესახებ, რომელიც ემზადება რეგულიარული ჯარების საშუალებით დაიპყროს ზანგეზურის მაზრა, რომელიც ბრიტანიის უმაღლესი სარდლობის გადაწყვეტილებით გადაცემულია ზანგეზურის ეროვნულ საბჭოს მართველობაში. კერძო ცნობებით, რომელიც სომხეთის მთავრობამ მიიღო, ადერბეიჯანის ჯარებს ადგილობრივი ქურთების და მუსლიმანთა მცხოვრებლების დახმარებით უკვე დაუწყვიათ შეტევა ზანგეზურზე, არაკსის სამხრეთ მიდამოებში კარა-ბაბა-აგარაკ-ეგვარტის და ნახიჩევანის მხრით მეგრის რაიონში. აღნიშნულ მოქმედებებს, რომლებსაც შეიძლება დიდი სისხლის ღვრა მოჰყვეს, სომხეთის მთავრობა ვერ დასტოვებს უყურადღებოდ. ამიტომ, გთხოვთ საჩქაროდ შეეკითხოთ თქვენ მთავრობას: მართალია, თუ არა ეს ცნობები და თუ მართალია, რა ზომებს იღებს თქვენი მთავრობა, რომ აცილებულ იქნეს სისხლის ღვრა, რომელიც დიდ ცეცხლს დაანთებს კავკასიაში.

სომხეთის მთავრობა გთხოვთ საჩქაროდ გვაცნობოდ პასუხი თქვენი მთავრობისა“.

საგარეო საქ. მინ. ა. ხატისოვი.

**სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს. 2 ოქტ. 1919 წ. №912.**

„თქვენი ნოტის საპასუხოდ, რომელიც მთლიანად გადავეცი ბაქოში, მე მივიღე ადერბეიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა: „შეატყობინეთ სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ზანგეზურის მაზრა შედის ადერბეიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში. ამიტომ მისი შეკითხვა არის დაუშვებელი ჩარევა ადერბეიჯანის რესპუბლიკის შინაურ საქმეებში და მთავრობა არ სთვლის თავს მოვალედ უპასუხოს სომხეთის მთავრობას, თუ როგორია ზომები, რომელიც გამოწვეულია შინაური მართველობით მის სხვადასხვა ოლქებში“. გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ მიიღოთ ჩემი თქვენდამი პატივისცემა“.

სომხეთის რესპუბლიკასთან ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი **ახვერდოვი.**

**ადერბეიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს.**

„თქვენი ნოტის საპასუხოდ მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი. თქვენი განცხადება, რომ ადერბეიჯანის მთავრობა სთვლის ზანგეზურის მაზრას ადერბეიჯანის განუყოფელ ნაწილად და ამიტომაც ის (ადერბეიჯანის მთავრობა) არ სთვლის თავის თავს მოვალედ თვის მიერ გადადგმული ნაბიჯები გვაცნობოს: —ასეთი პასუხი არ სწყვეტს იმ კითხვებს, რომელიც ასე აინტერესებს ორივე მთავრობას.

ამ ჟამად კითხვა ეხება არა ამა თუ იმ ტერიტორიის შემოერთებას, არამედ დროებით საქმის მოწესრიგებას იმ ადგილებში, რომელიც სადაოა ორივე რესპუბლიკებისათვის და რომელსაც შესაძლებელია სისხლის ღვრა მოჰყვეს. ეს დებულება მით უფრო ყურადსაღებია—რომ, არა ერთხელ სომხეთის მთავრობას განუცხადებია, რომ ზანგეზურის მაზრას ის სომხეთის განუყოფელ ნაწილად სთვლის. ამისათვის თქვენი განცხადება, თავის ხასიათით ფორმალურია და ეწინააღმდეგება იმ წესებს, რომელიც შემუშავებული არის ინგლისელების სარდლობის მიერ ზანგეზურის მაზრისათვის. თქვენი განცხადება სრულიადაც არ გამომდინარეობს საქმის რეალურ მდგომარეობიდან და არ უწყობს ხელს სადაო კითხვების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას, რომელიც, თქვენი მთავრობის განცხადებით, არის მხოლოდ ერთად ერთი გზა ორივე რესპუბლიკებისათვის. ამ დღეებში ესევე აზრი დაადასტურა სომხეთში მყოფ თქვენმა მთავრობის წარმომადგენელმა ახვერდოვმა. სომხეთის მთავრობა კვლავ საჭიროთ სთვლის განაცხადოს, რომ ყოველგვარი ცდა—რომელიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ ძალით დაპყრობილ იქნას ზანგეზურის ტერიტორია, გამოიწვევს სისხლის, ღვრას, რომლის პასუხისმგებლობაც ადერბეიჯანის მთავრობას დაეკისრება. თავის მხრივ სომხეთის მთავრობას სურს რა კეთილ მეზობლური განწყობილება, გამოსთქვამს იმედს, რომ ადერბეიჯანის მთავრობა ძალით არ მოინდომებს იმ სადაო კითხვის გადაწყვეტას, რომელიც ნახევარ წელიწადია დიპლომატიურ მოლაპარაკების საგანს შეადგენს. თავის მხრივ სომხეთის მთავრობა მზათ არის ყველა სადაო კითხვები ორივე რესპუბლიკებს შორის—გაარჩიოს ერთად და შეეცდება გამონახოს ის გზები, რომელიც მისაღები იქნება ორივე რესპუბლიკისათვის.

სომხეთის მთავრობას ამ საგნის შესახებ სურს დამატებით განცხადება გააკეთოს.

საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ხატისოვი.**

**ჰარბორდის დეპეშა ნ ჟორდანიას.**

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ვაშინგტონიდან მიიღო გენერალ ჰარბორდის მიერ გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა:

საქართველოს პრემიერ მინისტრს ბ ნ ნოე ჟორდანიას:

ჩემს ყოფნის დროს თქვენს დედაქალაქში და მთავრობასთან მე ვწუხდი თქვენი ავადმყოფობისთვის, რომელმაც მე მომაკლო თქვენთან შეხვედრის სიამოვნება.

მე თქვენი წერილი მივიღე ბ-ნ ლამბაშიძის ხელით და ძლიერ გმადლობთ იმ წერილში გამოთქმულ გრძნობებისათვის.

ჩემთვის ძლიერ სასიამოვნო იყო ორჯერ ნახვა ქართველი საზოგადოებისა, ხოლო ჩემი შეხვედრა თქვენს მინისტრებთან განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლო იყო ჩვენი მისიის თვალსაზრისით.

ვიმედოვნებ, რომ თქვენი ჯანმრთელობა საშუალებას მოგცემთ მალე დაუბრუნდეთ თქვენს თანამდებობას. გთხოვთ გადასცეთ თქვენს კოლეგებს, რომ მე ძლიერ მადლობელი ვარ იმ მრავალი დახმარებისათვის, რომელიც თქვენმა ხალხმა აღმომიჩინა და ძლიერ ვაფასებ იმ ინტერესს, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩვენი მისიის მუშაობისათვის.

გულწრფელად თქვენი **ჰარბორდი.**

ამერიკის არმიის შტაბის გენერალმაიორი.

**თავდასხმა მამისონის უღელ-ტეხილზე.**

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: ოქტომბრის 12-ს მამისონის უღელ-ტეხილზე მოწინააღმდეგეებმა სროლა აუტეხეს ჩვენს სადარაჯოებს. მათ ჩვენებმა პასუხი არ გასცეს. ნაშუადღევის პირველ საათზე ისინი ისევ შეტევაზე გადმოვიდნენ, რომელთაც ჩვენებმა უკან დაახევინეს. მათი მეორე შემოტევაც უკუგდებულ იქმნა. გუშინ მთელ დღეს სროლა არ ყოფილა. მტერს უკან დახევის შემდეგ დაუტოვებია ორი მოკლული და რამოდენიმე დაჭრილი. ჩვენი მხრით მოკლული და დაჭრილი არავინ არის. საღამოს რვა საათზე მტერს მოუნდომებია მკვდრებისა და დაჭრილების აკრება მაგრამ ჩვენს გვარდიას ამის საშუალება არ მიუცია. რაჭაში გვარდიის მობილიზაცია გამოცხადდა. ლეჩხუმისა და ჩვენი გვარდია მზად არის წასასვლელად.

გვარდიის მდივანი **გვარამია.**

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

14 ოქტომბერი.

მოხალისეთა ჯარის სამხედრო ცნობები, ოქტ. 13. მდ. ოლიმზე მკაცრი ბრძოლაა. ჩვენი მამაცი ჯარი ქალაქ ორიოლს 10 ვერსით დაუხლოვდა. ბრიანსისკენ ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო რაბატკოვო და ბერეზოვკა, გომელის მიმართ. ქ. ჩერნიგოვი აღებული იყო პოლკ. შტეიფონის ხელმძღვანელობით და მამაცი ჯარის მიერ, რომელსაც სარდლობდა პოლკ. გოტსი, პორუჩ. დერევიანკო და პოდპორ. რაძჩენკო, რომელთა ტყვიის მფრქვეველების მკაცრი სროლის დროს ჩერნიგოვის ხიდი ააფეთქეს და ქალაქში შეიჭრნენ. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა და წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე, რომელთა რიცხვს არკვევენ. ქალაქის აღება ისე მოულოდნელი იყო, რომ კომისრებმა ვერ მოასწრეს წასვლა და ვერც ვერაფრის წაღება. განთავისუფლებულია 200 მძევალი, რომელნიც უნდა დაეხვრიტათ. მოგილევისკენ მდგომარეობა უცვლელია.

**ბალტიისპირეთის ცნობები.**

**მოსკოვი.** 12 ოქტ. 1000-ზე მეტი ფრანგი ოფიცერი მურმანსკიდან ჰავრში დაბრუნდა.

ფონ-დერ-ჰოლცმა რიგა აიღო. თეთრ ესტონთა ძლიერი რაზმი თეთრ ლატიშთა მთავრობის დასახმარებლად მიეშურება. ლატვიის და ესტონიის მთავრობა ფიქრობს, რომ საფრანგეთის მთავრობა მხარს უჭერს ფონ-დერ-ჰოლცის და პოლკ. ბერმონტის გამოსვლას. ბალტიის მთავრობათა აზრით, რუსეთის გერმანელ თეთრ გვარდიელთა გამოსვლას, სხვათა შორის, მიზნათ აქვს ხელი შეუშალოს საზავო მოლაპარაკებს საბჭოთა რუსეთთან.

**ნაუენი.** 11 ოქტ. შტეტინის გაზეთ „აბენდ პოსტ“-ის ცნობით, შაბათს მოკავშირეებმა ბალტიის მხარის მცირე ბლოკადა გამოაცხადეს. გერმანიის გემებს არც იქით და არც აქეთ არ უშვებენ. მოკავშირეები აცხადებენ, რომ ბალტიის ზღვაზე გერმანიის ყველა გემებს დაიჭერენ.

**ნაუენი** 11 ოქტ. გერმანულ გაზეთებმა გამოაქვეყნეს ტექსტი იმ ბრძანებისა, რომელიც მოკავშირეებმა გასცეს, რომ ნარვა დვინსკის ხაზზე ყველა ჯარები შეტევაზე გადავიდეს. ბრძანებაზე ხელი უწერია 6 სარდალს და მათ შორის გენ. მარჩ—ს. არალოვ-ბერმონტის ჯარში მრავალი გერმანელი ჯარისკაცია.

შტეტინსა და ბერლინში ტრამვაის მოსამსახურენი გაიფიცნენ. შტეტინში გაიფიცა აგრეთვე გაზის მთავარი სადგური.

**ველიკიე ლუკი.** ოქტ. 10. ლატვიის მთავრობამ სახელმწიფოებს ოქტომბრის 8 შემდეგი ნოტით მიმართა: „გერმანიამ

# დღეს

ფონ დერ-ჰოლცმა რიგა აიღო.

ლატვიის და ფონ დერ ჰოლცის ჯარებს შორის ბრძოლაა.

მოკავშირეებმა ბალტიის მხარის ბლოკადა გამოაცხადეს.

ესტონიის ჯარი რიგისკენ მიემართება.

გერმანიასა და პოლონეთს შორის სილეზიის გამო უთანხმოება იზრდება.

მოხალისეთა ჯარმა ჩერნიგოვი აიღო.

მოხალისეთა ჯარი ქ. ორიოლს 10 ვერსით მიუახლოვდა.

ბრიანსკის მიმართულებით მოხალისეთა ჯარმა ქ. რაბატკოვო და ბერეზოვკა აიღო.

ბოლშევიკები კიევის სადგურს ზარბაზნებს უშენენ. ისინი კიევიდან 25 ვერსის სიშორეზე არიან.

თურქესტანში ბოლშევიკებმა ქ. ვოლოვსკი აიღეს და ტურგაის თავს დაესხნენ.

სომხეთსა და ადერბეიჯანს შორის უთანხმოებაა ზანგეზურის მაზრის თაობაზე.

მამისონის უღელტეხილზე 12 ოქტომბერს მტერი ჩვენს სადარაჯოებს თავს დაესხა, მაგრამ ზარალით უკუგდებულ იქნა.

---

დროთი ისარგებლა და კურლანდიაში თავის ძალები გაძლიერა. გერმანელები ჩვენ ჯარს მზაკვრულად ზურგიდან დაეცნენ. გერმანელთა ჯარმა და ბერმონტის რაზმმა ლატვიის წინააღმდეგ ეს არის ეხლა სამხედრო მოქმედება დაიწყო. ოქტომბრის 8 დღე დაეცნენ ნეიტრალურ ზონაში მყოფ ფლოტს. დილის 10 საათზე გერმანელთა ჰაეროპლანებმა ჩვენ მატარებელს ყუმბარები დაუშინა. ჯავშნიანმა ავტომობილებმა სროლა აუტეხა ჩვენ პოზიციებს. ამავე დროს რიგა მიტავის გზატკეცილზე გერმანელებმა ზარბაზნების და თოფის სროლა დაიწყეს. დამხმელნი მომწამლავ გაზით სარგებლობენ. ამნაირად, გერმანიამ საზავო ხელშეკრულება დაარღვია. მოკავშირეებს ვთხოვთ დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები გერმანიის დასამორჩილებლად. ეხლახან გერმანია რუსის გერმანოფილებს შეუკავშირდა. ეს კავშირი საფრთხეს უქადის არა თუ თუ ლატვიის დამოუკიდებლობას, არამედ მშვიდობიანობასაც და მიმართულია მოკავშირე და მეგობარ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ლატვიის მთავრობა სთხოვს მთელ კაცობრიობას, ყველა მთავრობას და ყველა ერს, სამართლიანობის დაუჭიროს მხარი იმ კონფლიკტში, რომელიც ჩვენ არა გვსურს".

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ სევასტოპოლის თავისუფალ ნავთსადგურით გამოცხადების საკითხი დადებითად გადაწყდება. საფრანგეთის სინავოსნო საზოგადოება საგანგებო სამგზავრო და საბარგო მიმოსვლას მოაწყობს სევასტოპოლსა და მარსელის შუა.

[illegible]ის არმიის შტაბი, ოქტ. 10. ყაზახთა მრავალ სტანიცაში რეზოლიუციები გამოიტანეს, ყოველ მხრივ დაუჭირონ მხარი საბჭოთა მთავრობას.

**ლიონი**, ოქტ. 11. უმაღლესმა საბჭომ რუმინიის მთავრობას საფრანგეთის, შეერთებული შტატების და იტალიის სახელით ნოტა გაუგზავნა, რომელიც ეხება სხვადასხვა საკითხებს, რომელთა გამო მოკავშირეები და რუმინელები ერთმანეთს ვერ უთანხმდებიან, და გამოთქმულია იმედი, რომ სიძნელე თავიდან იქნება აცილებული და რუმინია მოკავშირეებთან შეთანხმებით იმოქმედებს.

**ლიონი**. ოქტ. 11. საფრანგეთის სენატმა გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება მოიწონა. მეფე გეორგმა საზავო ხელშეკრულება დაადასტურა.

**ტულა** ოქტ. 11. ტულის მუშა ქალების დელეგატთა ყრილობა, გაეცნო რა მდგომარეობას, აღიარებს დენიკინთან ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობის აუცილებლობას. კრება მოუწოდებს ყველა მუშა ქალებს, შესცვალონ მამაკაცები, რომლებიც დაწესებულებებში მუშაობენ. მთელი მუშა ქალების სახელით ფიცს სდებენ, რომ თუ საჭირო შეიქნა, იარაღით ხელში დაიცავენ ტულას.

**მოსკოვი**. ოქტ. 13. სამხედრო ცნობა. 13 ოქტ. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელსკის მიმართ. რკინის გზაზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ და რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. პუდენის მიმართ. კუპეცკოეს ტბის რაიონში ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. მურმანის მიმართ. სად. ლიჟმის ჩრდილო დასავლეთით 20 ვერსზე ბრძოლაა. დასავლეთის ფრონტი. ნარვის მიმართ. იამბურგის ჩრდილო აღმოსავლეთით 25 ვერსზე ჩვენი ჯარი იბრძვის. ბალტიის რკინის გზის რაიონში სად. ბრუდა ვოლოსავოს ჩრდილოეთით ბრძოლაა. ლუგის მიმართ. ვარშავის რკ. გზის დასავლეთით 20 ვერსზე და პლიუსის ჩრდილოეთ დასავლეთით 20 ვერსზე ჩვენი ჯარი იბრძვის. გდოვის და პეჩორის მიმართულებით შეტევა ჩვენ სასარგებლოთ მიდის ლეპელის მიმართ. გამარჯვება ხან მტრის და ხან ჩვენ მხარეზეა.

**ბელოოსტროვი**. ოქტ. 8. გაზ. „ეხო დე-პარი“ აღნიშნავს იმ საფრთხეს, რომელიც პოლონეთს მოელის ფონ დერ-ჰოლცის და ლივენის მოქმედებით. ამათი რაზმი ვილნოს ემუქრება და გერმანელებს შეუძლიათ ზურგიდან პოლონეთის ჯარი ხელში ჩაიგდონ. გერმანიასა და პოლონეთს შორის უთანხმოება სილეზიის გამო მწვავდება. პოლცის არმია საფრთხეს წარმოადგენს როგორც ბალტიის სამეფოებისათვის, ისე პოლონელებისათვის.

**ნაუენი**. ოქტ. 12. ესტონელები რიგას უტევენ. ესტონიის ძლიერი რაზმები ზეგვოლდიდან რიგას უტევენ. არის ცნობები, რომ ლიბავაში ესტონიის ჯარით გემი გაიგზავნა.

ბორისოვის და ბობრუისკის მიმართულებით მზვერავები მოქმედებენ. ოლევსკის მიმართულებით მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. ხელში ჩავიგდეთ 1 ზარბაზანი. კიევის მიმართულებით კოტოვის ჩრდილო-დასავლეთით 10 ვერსზე და კიევის დასავლეთით 25 ვერსზე სოფლები დავიჭირეთ. ხელში ჩავიგდეთ 3 ზარბაზანი და სხვა ქონება, მდ. სენას მიუახლოვდით და კიევის სადგურს ზარბაზნები დაუშინეთ. ჩერნიგოვის რაიონში კოზლეცის მიმართულებით ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა მდ. დესნის ხაზისკენ დაიხია. ჩერნიგოვი დავსტოვეთ და ბრძოლით ჩერნიგოვის ჩრდილოეთით 10 ვერსზე პოზიციები დავიჭირეთ.

სამხრეთის ფრონტი. გლუხოვის და ლგოვის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და მიხაილოვკის სადგურ ჩრდილოეთით 5 ვერსზე იბრძვის. დიმიტრიევის მიმართ ჩვენი ჯარი მტერს ავიწროვებს, კრომის ჩრდილო დასავლეთით 20 ვერსზე ჩვენმა ცხენოსნებმა ჯარმა მტრის რაზმი დაამარცხა. წამოვიყვანეთ 70 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვეველები და სხვა ქონება. ბრძოლა გრძელდება. ეცის სამხრეთ-დასავლეთით 40—45 ვერსზე ბრძოლა გრძელდება. ვორონეჟის რაიონში ბრძოლის შემდეგ სადგური გრაფსკაია დავსტოვეთ. პავლოვის ჩრდილო აღმოსავლეთით 15—25 ვერს. ჩვენი ჯარი იბრძვის. ბოგუჩარის რაიონში ბრძოლის შემდეგ სადგ. კალაჩის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ჩრდილოეთით დაიხია. ჩვენმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ კაზანსკაიას ჩრდილო აღმოსავლეთით 50—25 ვერს. უკან დაიხია. უსტ ხოპერის მიმართულებით მტერი შეეცადა შემოტევას გლაზუნოვსკაიის რაიონში, მაგრამ უკუ ვაგდეთ და დავაზარალეთ. ცარიცინის რაიონში ჩვენი ნაწილები კარპოვკისკენ უტევს, ბრძოლით დაიჭირეს სოფ. პესკოვაცკი, ალექსეევსკი, რასომინსკი. აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი სადგ. კოტლუბან პოჩუვას ხაზზე გამოვიდა. თურქესტანის ფრონტი. ურალსკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დაამარცხეს მტერი, რომელიც ოვსიანიკოვს უტევდა. ურალსკის აღმოსავლეთით 50 ვერს. ჩვენ ვოლოვსკი დავიჭირეთ. 6 ოქტ. ტურგაის რაიონში ჩვენი ჯარი ტურგაის თავს დაესხა. აღმოსავლეთის ფრონტი. კურგანის რაიონში მტერი შეეცადა მდ. ტობოლზე გადმოსულიყო, მაგრამ უკუ ვაგდეთ. იალუტოროვის რაიონში, იშიმის რკ. გზის სამხრეთით ბრძოლაა, წამოვიყვანეთ 100 ტყვე. ხელში ჩავიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი. ჩრდილოეთით მტრის შეტევა მოვიგერიეთ. ტობოლის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება.

**ლიონი**. ოქტ. 12. უკანასკნელ სხდომაზე იტალიის სოციალისტებმა 3 ხმის უმეტესობით ბოლშევიკურ პროგრამას დაუჭირეს მხარი მოითხოვენ დაუყოვნებლივ მუშათა საბჭოების დაარსებას და პროლეტარიატის დიქტატურის შექმნას. ამავე ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სოციალისტები პარლამენტში მხოლოდ პროპაგანდის მიზნით შევიდნენ, პრინციპიალურად უარყოფენ პარლამენტარიზმს, როგორც პოლიტიკური მართვა გამგეობის ფორმას.

**ნაუენი**. ოქტ. 12. ბუდაპეშტის გაზ. ცნობით, ბუდაპეშტში ამერიკის და ინგლისის მისიამ რუმინიის გენერალურ შტაბის უფროსს სთხოვა იკრძალოს სოც. დემოკრატიულ, დემოკრატიულ, რესპუბლიკანურ და რადიკალურ პარტიების კრებები.

**ლიონი**, ოქტ. 12. რომიდან მოსული ცნობით, ფიუმეში დ' ანუნციომ სარდლობა გენერალ ჩეკერინს გადასცა. ჩეკერინი ფლორენციიდან ფიუმეში წავიდა. წასვლისას გამოუშვა მანიფესტი; რომელშიაც ის აცხადებს, რომ ის თავის თავს განთავისუფლებულათ სთვლის მეფის ერთგულობის ფიცისაგან.

**ლიონის რადიო-სადგურის ცნობები.**

უმაღლესმა საბჭომ, დენიკინის და კოლჩაკის შუამდგომლობა შეიწყნარა, რუსეთის იმ სამხედრო მასალის გადასაცემად, რომელიც გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს.

გაზეთები იუწყებიან, რომ გენერ. ფონ დერ ჰოლცის ჯარი რიგაში შევიდა.

უმაღლესმა საბჭომ გაგზავნა საგანგებო კომისია, რომელსაც მიზნათ აქვს უნგრეთის ხელშეკრულებაში შეიტანოს ბუდაპეშტის მთავრობის უარი იმ ოლქებზე, რომელნიც სენჟერმენის ხელშეკრულებით იტალიაზე არის გადაცემული.

**ბერლინის პრესის ცნობები**

ბერლინში მოელიან ფოშის ნოტას ბალტიის პროვინციების დაცლის შესახებ. გაზეთების უმეტესი ნაწილის აზრით, მოკავშირეებს არ აკმაყოფილებს გერმანიის მთავრობის მიერ მიღებული ზომები. ყველა გერმანული გაზეთი სიცრუეს უწოდებს ლატვიის ნოტას გერმანიის მიერ საზავო ხელშეკრულების დარღვევის შესახებ. იუწყებიან, რომ ნოტაში ფაქტები სრულიად დამახინჯებულია. გერმანიის ზავი არ დაურღვევია მაგრამ (გამოშვებულია), ლატვიის მთავრობა ყოველნაირად ეხმარება ბოლშევიკებს და პოლკ. ბერმონტის ჯარს ფრონტისკენ არ უშვებს. დასავლეთის რუსთა არმიის ცნობით რიგასთან მას ლატიშები დაუმარცხებია და ბერმონტს მოუთხოვნია, რომ მისი ჯარი გაატარონ. ვოლფის სააგენტოს ცნობით, მართალი არ არის „დეილი ქრონიკლ“-ის რიგიდან მიღებული ცნობა, ვითომ გერმანელთა 20 ათასიანი ჯარი რიგასთან ლატიშებს დასცემოდეს. თავდასხმა მოახდინა არა ლოვ ბერმონტის რუსთა ჯარმა და გერმანულ ნაწილებს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. გაზეთები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ მოკავშირეთა განზრახვის გამო, დაკეტონ ბალტიის ზღვა გერმანიის გემებისთვის. მათი აზრით მოკავშირეებს სურთ მიმოსვლა შესწყვიტონ შტეტინსა და ლიბავას შორის. არალოვ ბერმონტს, როგორც რუსს, რა საკვირველია — სურს ბოლშევიზმის დამარცხება რუსეთში. „ფორვერტს“-ი აცხადებს, რომ გერმანიის ხალხი და მთავრობა პასუხისმგებელი არ არის ბალტიის პროვინციებში უცხო ჯარების მოქმედებისთვის. ყველა ქვეყნის სოციალისტების მიზანი უნდა იყოს ასეთი გაუგებრობის გამორკვევა. სამწუხაროდ, საფრანგეთის სოციალისტებს ნამდვილი წარმოდგენა არა აქვთ იმის შესახებ, თუ რა ხდება იქ. გაზეთები აცხადებენ, რომ თუ გაუგებარ მიზეზების გამო ბიზონი დენიკინს მიემხრო, გერმანელ ხალხს არ შეუძლია ამის პასუხისმგებელი იყოს. „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ სწერს, რომ ქვეყნის მართველებმა პარიზში პირველ ყოვლისა რუსეთის წარმომადგენლებს უნდა მიმართონ.

ესტონიის ჯარი რიგისკენ მიემართება. იუწყებიან, რომ ლიბავაში გემებით ჯარი გაიგზავნა.

გერმანიის მთავრობა მზადაა დაეხმაროს მოკავშირეთა იმ კომისიას, რომელიც ბალტიის პროვინციებში მიდის საქმის მოსაგვარებლად.

განახლდა ინგლისიდან სამხედრო ტყვე გერმანელების გადმოზიდვა, რომელიც რკინის გზელთა გაფიცვის გამო შეწყვეტილი იყო.

განახლდა გემების მიმოსვლა ჰამბურგსა და მექსიკა-ჰავანნას შორის.

შეერთებულ შტატების მიერ გერმანიისთვის ნაჩუქარი გაყიდული რძის ტვირთი უკვე ჩამოვიდა და წითელი ჯვრის დაწესებულებათა საშუალებით ნაწილდება გერმანიის დაწყებითი სკოლების მოწაფეთა შორის.

დაპყრობილ ოლქებიდან გენ. მანჟენის გაწვევამ გერმანიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით კი დ-რ ჰააზესა და ცოლერის მომხრეებზე, რომელნიც გენ. მანჟენის მფარველობით სარგებლობდნენ. ფრანგულ გაზეთებში დაბეჭდილია მისდამი მიმართვა, სადაც ნათქვამია, რომ მანჟენი უფრო მხედარია, ვიდრე დიპლომატი. „ჰუმანიტე“-ც გაკვირვებულია ამით. „ტან“ი ამბობს, რომ გენ. მანჟენს რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკის შექმნით ბარრესის იდეის განხორციელება სურდა.

# ახალი ამბები

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისაგან:** გაზეთ „საქართველოს“ 14 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია წერილი სათაურით: „აღმაშფოთებელი განცხადება“, რომელშიაც გაზეთ „სახალხო საქმე“ს 7 ოქტ. ნომრიდან გადმობეჭდილია ცნობა, თითქოს ლიუცერნის სოციალისტურ კონგრესზე საქართველოს დელეგაციის წევრს ირ. წერეთელს სიტყვა წარმოეთქვას ამიერ-კავკასიაში ინგლისური ჯარის დროებით დატოვების წინააღმდეგ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციო განყოფილება აცხადებს, რომ აღნიშნული ცნობა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. [illegible] ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლები ევროპაში და ამ კითხვის შესახებ პარიზის საზავო კონფერენციას სამივე რესპუბლიკის დელეგაციებმა მიმართეს საერთო შუამდგომლობით.

ამგვარად ცხადია, რომ „საქართველოს“ განცხადება თითქოს ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი ევროპაში აწარმოებდეს საკუთარ პოლიტიკას, დამყარებულია სრულიად ყალბ ცნობებზე და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

✦ **ბოლშევიკების კომიტეტის და ტუსაღება თელავში.** 8 ოქტომბერს, თელავის სახალხო გვარდიის შტაბმა და მილიციამ აღმოაჩინა ბოლშევიკების კომიტეტი. დაჭერილია კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე სამსონ ცინცაძე, ხაზინადარი რამინ ურთმელიძე, მდივანი კოლა ბაკურაძე, კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი სტუდენტი ანტონ აუშტროვი, ორგანიზატორი ნიკო მაზანაშვილი და ყველა რაიონების ორგან ხატორები. კომიტეტს 5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე თელავის მაზრაში დაუხარჯავს 80,160 მ. აღმოაჩინეს დიდძალი პროკლამაციები და ბროშიურები ქართულ, სომხურ, რუსულ და თათრულ ენაზე. ბოლშევიკების აგიტაცია მაზრაში მიმართული იყო მობილიზაციისა და გადასახადების წინააღმდეგ. პარტიის წევრების დიდი ნაწილი შესდგება სოფლათ ქურდბაცაცებისაგან, ხოლო თვით ქ. თელავში ყაჩაღების აგენტებისაგან.

✦ **„დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოება“** 17 ოქტომბერს თავის ფონდის გასაძლიერებლათ ყულაბებით ფულებს მოკრებს ქუჩებში, 18 ოქტომბერს არტისტულ საზოგადოების თეატრში გაიმართება საინტერესო წარმოდგენა—კონცერტი. და ამავე საზოგადოების სასარგებლოთ 19 ოქტომბერს დიდუბის ტაძრის ეზოში გაიმართება: ლატარია—ალეგრი.

✦ **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების** კრება შესდგება პარასკევს, 17 ოქტომბერს, საღამოს სრულ 7 სას. საათზე მიხეილის სამკურნალოს აუდიტორიაში. დღის წესრიგი: 1) მოხსენება ექ. მ. დ. წინამძღვრიშვილისა—„შემთხვევა ბირმერის პერნიციოზული ანემიისა“. თფილისის ქალაქის სავადმყოფოდან. 2) ექ. პ. მ. სარაჯიშვილის მოხსენება—„ბეგრა, როგორც კურორტი“.

✦ **მისალმების დეპეშა.** თფილისის რაიონის გვარდიელთა მეოთხე ყრილობა დეპეშით მიესალმა მთავრობას და ფიცი დასდო, რომ ისინი ყოველთვის მზად იქნებიან იარაღით ხელში დაიცვონ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გარეშე და შინაურ მტრებისაგან.

✦ **კავკასიის ეროვნებათა კულტურული კავშირში.** კულტურისა,

---

# ხალხთა ლიგა *)

(ისტორიულ ფილოსოფიური ექსკურსით)

**ვერსალის ხალხთა ლიგის კრიტიკისათვის.**

II.

როცა კოლუმბი თავის ავანტიურისტულ პლანის გასახორციელებლად წავიდა ევროპისა და ინდოეთის შორის ახალი გზების აღმოსაჩენად, ევროპა ისეთ'ავე სულიერსა და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა როგორც დღეს. კოლუმბს ეწადა ოქრო მოეტანა ევროპაში, რათა ამ საშუალებით თურქები გაედევნათ კონსტანტინოპოლიდან.

ევროპა დაუძლურებული იყო ჯვაროსნული ომებით. გზა აღმოსავლეთისაკენ დახშული იყო, ვაჭრობა მრეწველობა ხელფეხ შებორკილი. ახლად აღმოცენებული ტერიტორიალ-ნაციონალური სახელმწიფოები სისხლისგან იცლებოდნენ, ქრისტიანული კულტურის მტრები ცენტრალურ ევროპისაკენ მოდიოდნენ იერიშით. ამ საუკუნეში ევროპისთვის ისევ ევროპიელს უნდა ეშველნა. 1919 წლის ევროპაც როგორც პოლიტიკურს, ისე მატერიალურსა და სულიერ კრიზისს განიცდიდა. საოცარია, სწორედ ოთხასი წლის შემდეგ მთელი ევროპა ამერიკიდან ელოდა შველას. ვორდროკ ვუილსონს ელოდნენ ევროპაში გასულ მაისში, რომ მას გორდიის კვანძი გაეჭრა მძიმე მახვილით. 500 წლის შემდეგ ევროპა ამერიკელისაგან ელის ხსნას. ადამიანი რომ ევროპის დიდ ისტორიას გაითვალისწინებს და ამ მდგომარეობას დაუფიქრდება, თავის თავად შეადარებს ევროპასა და ამერიკას.

თუ შეიძლება საერთოდ ასეთი ორი ექსტრემალურად განწყობილ სამყაროების შედარება რა არის ამერიკა ევროპასთან შედარებით?

ევროპა დღევანდელი ამერიკის დედაა, მისი ძლიერებისა და მისი დიდი დემოკრატიის წარმომშობი.

ევროპა ამაყობს თავის ლუვრით, თავის „ბრიტიშ მუზეუმით“, ვატიკანით, თავის უძველეს უნივერსიტეტებით, თავის უზარმაზარ ბიბლიოთეკებით, რელიგიურ ომებით, რაინდებით და ტრუბადურებით, თავის დანტე-გოეთე—შექსპირით, ევროპა თავის დიდი წარსულით ამაყობს.

ამერიკა კი ამაყია რომ მას სწორედ ეს დიდი წარსული არ აქვს.

ამერიკელები ევროპაში მიდიან პლატონის, ჰომერის, დანტეს, შექსპირის, გიოტეს და ნიცშეს საფლავებზე სალოცავათ.

ევროპიელები ამერიკაში მიდიან დიდი და ვრცელი პრერიების, ნაირ ნაირ წითელ კანიანების სანახავათ, სრა ჩვეულებრივ ფლორისა და ფაუნის გასაცნობად და მაღალი უცნაურ ნისკარტიან თუთიყუშების ჩამოსაყვანად.

ამერიკას მიდიან ისეთი თავისუფლად მოაზროვნე ევროპიელები, რომელთაც ტრადიციული დოგმატიური, ყოყლოჩინა ევროპა მოსწყინდებათ, ისეთი ადამიანები, რომელთაც ევროპაში დასაკარგავი არაფერი არ დარჩენიათ, რომელთაც ერთის დაჭკვრით სწადიათ კავშირი გასწყვიტონ წარსულთან და „ახალ ქვეყანაში“ ახალი ცხოვრება დაიწყონ.

ევროპიდან ამერიკას მიდიან ავანტიურისტები, გაკოტრებული ვაჭრები, თავზე ხელაღებული უსახელო პოეტები, რომელთაც დიდ ქალაქების და დიდ ხალხების საფლავების თვალიერება მოსწყენიათ ევროპასა და აზიაში და ახალ ამერიკაში ეძებენ ახალ ემოციებს. მოკლედ. **ევროპას მუდამ თავისი წარსულით მოსწონდა თავი, ამერიკას თავისი მომავლით.** რამდენიმე წლის წინად მარკ ტვენი სწერდა:

ამერიკელ ელჩს ევროპაში ლაქიის ფრაკი უფრო ჰშვენის, ვიდრე დიპლომატობა. ასი წლის წინად ევროპას საკუთარი ძალით შეეძლო თავის „შინაური“ და არა მარტო შინაური, მთელი ძველი კონტინენტების საქმეების მოწესრიგება და გაძღოლა. 100 წლის წინად ინგლისელმა გენერალმა ველინგტონმა ტომით ირლანდიელმა, ვატერლოოსთან დაამარცხა ევროპის უზურპატორი კორსიკელი—ბონაპარტე და ამით მთელი ევროპა იხსნა პოლიტიკური კრიზისისაგან 1917 წელს ჟოფრმა ევროპას „ველინგტონობა“ ვერ გაუწია.

ევროპამ მთელი აზია, აფრიკა, ავსტრალია და კუნძულები მოიშველია და ევროპის ახალ „უზურპატორს“ ვილჰელმ II ვერა დააკლო რა. როცა 1918 წლის იანვარში მისტერ ვუილსონი ამერიკაში თავის 14 პუნქტის შესახებ სიტყვას ამბობდა, მთელი ქვეყანა სმენად იყო გადაქცეული.

გუილდ ჰოლლში წარმოთქმულ სიტყვაში შემდეგი უპასუხა პრეზიდენტ ვუილსონმა მოკავშირეთა დიპლომატებს: „იმ სიტყვებში, რომლითაც მე თქვენ მოგმართეთ, მე ვიპოვნე ის აზრი, რომ თქვენ (მოკავშირეები) ომს აწარმოებდით, რათა ძველი წესწყობილება გაგეუქმებიათ და ახალი აღგედგინათ“. მუისიო პიშონმა კარგად გაიგო, რომ ეს მარტო ცენტრალურ სახელმწიფოებს არ ეხებოდა ამ სიტყვების საკომენტარიოთ საჭიროა გადაიკითხოთ ევროპა-ამერიკის დამოკიდებულების ისტორია 1776 წლიდან.

1776 წელს საფუძველი ჩაეყარა ამერიკის რესპუბლიკების კავშირს.

რესპუბლიკანური ფორმა ევროპაში დაბადებული. პლატონის დღეებიდან ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოები კონტიკუნტათ ჩნდებოდენ და ისპობოდნენ რესპუბლიკები. მაგრამ არასოდეს არ ყოფილა ისეთი მომენტი ევროპის ისტორიაში, რომ რესპუბლიკების კავშირი შეკრულიყო და ევროპის საგრძნობი ნაწილი ევროპის კანტინენტებისა, ამ რესპუბლიკებს სჭეროდა.

ყოველ შემთხვევაში რესპუბლიკათა დიდი ასოციაცია, ვითარცა სახელმწიფოებრივი ფორმა, ამერიკანულის სტილისა, ევროპისათვის დღემდის უცნობი იყო.

1776 წელს მოჰყვა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. მოკლედ. 1776 წლიდან ამერიკა იმასვე უმეორებდა ევროპას, რაც მისტერ ვუილსონმა ანტანტის დიპლომატებს ასე გარკვეულად უთხრა 1919 წელს გუილდ ჰოლლში.

ძველის დანგრევა და ახალის შენობება!

1898 წელს ისპანიასა და ამერიკას შორის ამტყდარ საახალშენო ომში პირველად აგრძნობია ამერიკამ ევროპას თავისი პოლიტიკური და მილიტარული ძალა. 1917 ში, როცა გერმანელები დარწმუნდენ, რომ ადმირალ ტირპიცის წყალქვეშა ომში ამერიკას მახვილს აალებინებსო გერმანიის პრესა პამფლეტებით შეეგება ამ მოვლენას. „ამერიკელები ალბად ტუნისის სათამაშოთ მიდიან ევროპაშიო“;—ამბობდნენ დიპლომატები და ჟურნალისტები. მაგრამ ამერიკელების მიერ ჩამოტანილმა მაშინერიამ მარნასთან გადასწყვიტა მთელი მსოფლიოს ბედი. ახლა კი ყველასთვის ცხადია, რომ ამერიკის დიდი დემოკრატია ევროპისათვის ანგარიშ გასაწევი ძალაა.

ვუილსონის პირით ამერიკა თხოულობს ევროპისაგან ძველის დანგრევას და ახალის აშენებას.

იმავ გუილდ ჰოლლში თავის გეგმის ხალხთა ლიგის შესახებ შემდეგი სთქვა ამერიკის პრეზიდენტმა: **„ეს იქნება არა ერთი სახელმწიფოთა ჯგუფის კავშირი, რომელიც სახელმწიფოთა მეორე ჯგუფს დაუპირდაპირდება, არამედ უძლიერესი და უმრავალრიცხოვანესი კრებული ერებისა, რომელიც მსოფლიო ზავის ერთგული მოდარაჯე იქნება“-ო.**

იდეია ხალხთა ლიგისა, როგორც ჩვენ დავინახეთ, ევროპაში იშვა და განვითარდა, მაგრამ ევროპამ დღემდის ხალხთა ლიგის პრობლემა პრაქტიკულ ნიადაგზე ვერ დააყენა; ამის მიზეზი იყო ერთის მხრით ის გარემოება, რომ ევროპის პოლიტიკა დღემდის ძველ, ალექსანდრე პირველის „ზელ ალიანსის“ მოტივებს ემყარებოდა; ეს იყო ევროპიულ სახელმწიფოთა შორის მილიტარული სწორ-სწორაობისა და შეიარაღებული მშვიდობიანობის დაცვა. პოლიტიკურ სწორ-სწორაობას კი იმით იცავდნენ ევროპიელი სახელმწიფოები, რომ ერთ შეიარაღებულ ჯგუფს ერებისას, მეორე თანასწორი ძალით და იარაღით აღჭურვილი ჯგუფი უპირდაპირდებოდა. საომრად გამზადებული ხალხთა ჯგუფები მუდამ ჰპოულობდენ საბაბს ომისას და ამიტომაც ევროპა ორ საუკუნეზე მეტია, რაც შეკავშირებულ კოალიციონურ ომებს აწარმოებს. საკუთარ წრეში ყოველ ომის შემდეგ ახალი კავშირი იკვრებოდა, ყოველ ახალ კავშირის შეკვრას ახალი ომი მოჰყვებოდა. ასე რომ ეს კავშირები ზავისათვის როდი მზადდებოდა, არამედ ომისათვის.

რა მდგომარეობა იყო 1914 წლის ივლისამდის ევროპაში? კავშირი ცენტრალურ სახელმწიფოთა ავსტრო-იტალიისა და გერმანიის და რუსეთ საფრანგეთისა თითქმის თანასწორი იყო. ერთ-ერთ ამ კავშირში რომ ევროპიელ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა ყოფილიყო, შეიძლება კაცობრიობას უკანასკნელი დიდი ომი აეცდინა. კიდევ მეტი, მისტერ ედუარდ გრეის, ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ საქვეყნოდ გაეცხადებინა 1914 წლის ივლისამდის, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ბელგიის ნეიტრალობას ხელს ახლებდა, ინგლისი ომში გაერევაო, საქმე სულ სხვა ხასიათს მიიღებდა, მაგრამ ედუარდ გრეიმ ეს განაცხადა, როცა გერმანიას ბელგიის საზღვრები გადალახული ჰქონდა და ომის ბედი უკვე დაკვესილი იყო. ბოლოს ყველაზე თვალსაჩინო მიზეზი იმისა, თუ რათ ვერ მოახერხა ევროპამ ხალხთა ლიგის მოწყობა, ეს გახლავთ ის, რომ ერთ-ერთ კავშირში ავტოკრატიული რუსეთი იმყოფებოდა, რომელსაც შინაურ რეფორმების შემოღებისა და ხალხის პოლიტიკურ ემანსიპაციის თავიდან ასაცილებლად მუდმივი ომი სჭირდებოდა.

ვუილსონის უკან კი ამერიკის ბურჟუაზიული რესპუბლიკები სდგანან, სწორედ ამიტომ განაცხადა პრეზიდენტმა—ასე რიხიანად: საჭიროა ძველის დანგრევა და ახალის აშენებაო. დიახ, ამერიკა მაგრად უკაკუნებს ტრადიციულ ევროპის კარებს. თვით ცენტრალურ ქვეყნებში მომხდარ რევოლიუციის შემდეგ, თუმცა ოციოდე ტახტი დაემხო ევროპაში, მაგრამ რესპუბლიკანურ საფრანგეთის გარშემო კიდევ სხედან ტახტებზე მეფეები, რა უყოთ, რომ ზოგიერთ ევროპიულ სახელმწიფოებს „გვირგვინოსან რესპუბლიკებს“ უწოდებენ, მიუხედავად ამისა, დღეს ამერიკასთან ერთად მთელი ევროპის დემოკრატია გრძნობს, რომ ძველი ევროპა უნდა გაიწმინდოს ფეოდალური წყობილების ნაშთებისაგან, რადგან დღეს ევროპაში სახელმწიფოებრივი ფორმის პრობლემა საკმაოდ მძაფრადაა წამოჭრილი.

სახელმწიფოებრივ ფორმას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ამ შემთხვევაში, რადგანაც ისეთი ხალხთა ლიგის დასაარსებლად, რომელიც მართლაც მშვიდობიანობის დარაჯი იქნება, საჭიროა, ხალხთა ლიგის შემადგენელ წევრებს თითქმის ერთი და იგივე ფორმის სახელმწიფო მოეძევოდეს. ამიტომაც ხაზგასმით აღნიშნა მისტერ ვუილსონმა ძველის დანგრევისა და ახალის აშენების საჭიროება.

ფილ. დოქტ. კ. გამსახურდია.

(შემდეგი იქნება.)

*) იხ. „ერთობა“ № 232, 233.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის და ხელოვნების წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით დაარსდა კავკასიის ერთა კულტურული კავშირი. კავშირში შედიან ჯერჯერობით ქართველებისა და სომხების წარმომადგენლები.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 1 განყ. (ნაძალადევი) 1) ა. წერეთელი „ახალი ისტორიიდან", 2) ვ. ალშიბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი". 3 განყ. (ჩუღურეთი) 1) ა. ჟორჟოლიანი „ევროპის ისტორიიდან", 2) ორმაშვილი „ეკონომიური საკითხები". 5 განყ. (წმ. ნინოს რაიონი) 1) დ. ასათიანი „საფრანგეთის ისტორიიდან", 2) აბრამიშვილი „ხელოვნების ისტორია". 7 განყ. (საბურთალო) 1) შ. ლომბერიძე „ქიმია", 2) ვ. ბარნოვი „ქართული მწერლობა". 8 განყ. (ავლაბარი) 1) დ. ართნიშიძე „ქართული მწერლობიდან", 2) ა. ჟორჟოლიანი „ევროპის ისტორიიდან".

✦ **პროფესიონალურ** კავშირების საბჭოსთან არსებული სანდრო მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკა სამკითხველოს გამგეობამ დაადგინა გამოსცეს სანდრო მაისურაძის ხსოვნის პატივსაცემათ გარდაცვალების წლის თავისათვის (19 დეკემბერი) მისი ხსოვნის აღმნიშვნელი კრებული იქნება დაბეჭდილი ჩვენი ყველა საზოგადო მოღვაწეთა წერილები და სიტყვები. კრებული იქნება დასურათებული. ბიბლიოთეკის გამგეობას განზრახვა აქვს გამოცემის წინასწარი ხელის მოწერა გამართოს და აგრეთვე შემოწირულებისთვის მიმართოს დაწესებულებათ.

✦ **საქართვ. სავაჭრო სამრეწველო** პალატამ სავაჭრო მუზეუმის დირექტორათ მოიწვია აგრონომი ვ. ა. პეტროვი.

✦ **ყაჩაღობა.** სოფელ წყნეთიდან მომავალ მგზავრებს: თბილისის მე 6-ე ქართ. გიმნაზ. მოწაფეს ვ. ობელაშვილს ამავე სოფლის ათთიაკის პროვიზორს ვ. ყაჯარდუზოვს, სტ. ტუმანოვს და პროვიზორ. ხანგანეზოვს, ვაკეზე (ყოფილ სემენარ.) ცოტა ზევით, სალ. 7 ნახ. საათ. იქნებოდა რომ 2 შეიარაღებული დაუხვდენ და გაძარცვეს. ვ. ყაჯარდუზოვს წაართვეს საფულე ფულით 600 მ., ვერცხლის საათი თავის ვერცხლისავე ჯაჭვით და მცარცველთაგანმა ვ. ყაჯარდუზოვი ხელშიაც დასჭრა. ვ. ობელაშვილსაც წაართვეს ასი მან. მეორეებს კი არაფერი აღმოაჩნდათ.

✦ **ჟურნალი „მუშათა ცხოვრება".** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მუშათა ცხოვრების" მე-10 ნომერი. ჟურნალში მრავალი საყურადღებო წერილები არის მოთავსებული.

✦ **იაფი პური,** რომელსაც ქალაქი მუშებს ურიგებს, ამ ბოლო დროს სრულიად გამოუსცხვარია, აგრეთვე შიგ ურევია ჩხირები, ბალნები, მიწა და სხვა.

✦ **უბედური შემთხვევა.** 13 ოქტომბერს, დილის 3 საათზე, სუნწენის ქუჩაზე, სახალხო გვარდიელს სპირიდონ კახიაშვილს გაუვარდა რევოლვერი, რომლითაც მძიმეთ დაიჭრა იქ მდგომი ვალვა აბულაძე.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

— ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, სალ. სრულ 5 საათ. დანიშნულია მეოთხე რაიონის სარევიზიო, კომისიის წევრთა პირველი სხდომა.

— დღეს, საღამოს 5½ საათზე შესდგება კრება საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის სომხურ სექციისა.

— საღამოს სრულ 4 საათზე შესდგება საქართველოს ახალგაზ. მარქსისტთა ორგანიზაციის თფილისის კომიტეტის სხდომა.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო დარგის I-ლი კურსის სტუდენტთა გამგეობა ამით აცხადებს ამხანაგებისათვის საყურადღებოთ, რომ 15 ოქტომბერს საღამოს სრულ 7 საათზე ლექციების შემდეგ დანიშნულია, ხსენებულ სტუდენტთა საერთო კრება. განსახილველია ფრიად საჭირო და საყურადღებო საკითხი. ამხანაგების დასწრება აუცილებელია.

**პროვინციის ქრონიკა.**

**გურია.** 28 ოქტომბერს მოხდა გურიის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის რეორგანიზაცია. შტაბის წევრებათ არჩეულ იქმნენ გიორგი შილაკაძე, გიორგი მურვანიძე, სიო ჰანტურიშვილი, ე. გოგუაძე, მიხ. ბაქუნაიშვილი, სერ. მათითაიშვილი, რაფ. ჩხაიძე, ის. ხურციძე და იოსებ ქარცივაძე.

## მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: საზხედრო ფონდიდან გადაიდოს ნახევარი მილიონი მანეთი გორის, სიღნაღის და თელავის სახალხო გვარდიის საჭიროებისათვის ყაჩაღებთან საბრძოლველად.

---

ახალქალაქის მაზრის სოფ. ხიზაბავრის მცხოვრებთა შუამდგომლობა ტანისამოსით დახმარების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნას.

## მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა"

აღნიშნულ ორგანოს 14 ოქტომბრის ნომერში (№ 231) დაბეჭდილია შემდეგი „წერილი რედაქციის მიმართ" სტენოგრაფიულ ოქმების ყოფილი რედაქტორის ს. იორდანიშვილისა.

„ბატონო რედაქტორო:

„უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით შემდეგი ვაუწყო ქართველ საზოგადოებას:

„გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ოქტომბრის 10-ს ნომერში მოთავსებული დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგის ს. მდივნის და კანცელარიის გამგის ილია ზურაბიშვილის მიერ ხელმოწერილი განკარგულება (იხ. „საქარ. რეს." № 228 ოფიციალური განყოფ.) თუ იგი უნებლიეთ შეცდომას არ შეიცავს,—მოკლებულია ჭეშმარიტებას. სტენოგრაფიულ ოქმების უნცროსი რედაქტორი ნ. სირბილაძე ვერ დაინიშნებოდა იმავე (იგულისხმება სტენოგრაფიულ) ოქმის რედაქტორად, რადგან დამფუძნებელ კრების კანცელარიის მიერ მოწყობილ მდივანხანას არ ძალუძს სტენოგრაფიულ ოქმების შედგენა.

„სტენოგრაფიულ ოქმების ყოფილი რედაქტორი **ს. იორდანიშვილი**".

საჭიროა ვიცოდეთ: როგორ მოხდა, რომ „მთავრობის მოამბეში" დაიბეჭდა ყოფილ მოხელის ასეთი უცერემონიო გალაშქრება დამფუძნებ. კრების პრეზიდიუმის წინაამდეგ? თუ ბ. იორდანიშვილი გაკადნიერდა ისე, რომ დამფ. კრების პრეზიდიუმის ასეთი უდიერი და უსაბუთო კრიტიკა გაბედა მთავრობის ორგანოს რედაქცია როგორ აძლევს თავის თავს ნებას ასეთი შეუწყნარებელი გამოლაშქრება დაუშვას?

## „საბრალო ჩხიკვიშვილი"

(წერილი რედ. მიმართ)

სოხუმის ოლქის შესახებ ვინც რა სიცრუეს მოჰქარავს, ვისაც რა ანეგდოტები ანუ ზღაპრები წამოსცდება, ნებსით თუ უნებლიეთ, საჯაროთ, ან გაზეთის ფურცლებზე, ყველა მე მასახელებს ან დამნაშავეთ ან მოწმეთ. სარგებლობენ ალბათ იმით, რომ არც მოცალება მაქვს და არც სურვილი ყველას ანგარიში გაუწიო.

მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც გაჩერება არ შეიძლება. ასეთი შემთხვევაა მაგალითად, დამფუძნებელ კრების წევრის სამსონ დადიანის გალაშქრება მთავრობის წინააღმდეგ „წულუკიძის და კარტოზიას მიერ დანაშაულობის ჩადენის გამო" და ჩემი მოწმობა ამ ისტორიაში. მართალია, ჩემთან ერთად ის. რამიშვილსაც იმოწმებენ, რომელიც მაშინ ბაქოში ცხოვრობდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ბ. დადიანს ის უნდა აინტერესებდეს თუ რის დამოწმება შემიძლია მე. ს. დადიანი ამბობს: 1) „მიხ. წულუკიძემ სარისკიპოში თუ სამიკიტნოში მეარღნეს პირში რევოლვერი ჩაუდო და მიაჭდია; 2) ლუკა კარტოზიამ ხანჯლით კაცი აჭრა ქ. სოხუმში დღისით—მზისით, მთავარ ქუჩაზე და დღეს ეს კარტოზია კომისრათაა თფილისში, რომელიღაც უბანში. „ერთობა" უკეთ მოიქცეოდა შეჰკითხებოდა ბ. ჩხიკვიშვილს, რომელიც იმ დროებში სოხუმის ოლქის საგანგებო კომისრად ბრძანდებოდა და რომელსაც ჩემზე უფრო დაწვრილებით მოეხსენება ეს საქმე"-ო.

რომ ეს მართლა ასე იყოს, პასუხისგებაში მისაცემი მე ვყოფილვარ მთავრობის მიერ, რადგანაც საგანგებო კომისარი არ უნდა დარჩენილიყო უბრალო მოწმეთ „ასეთი გულის შემზარავი დანაშაულობისა". ამ ორივე მკვლელობას ადგილი ჰქონდა 1917 წ., როცა მე სოხუმის ქალაქის მოურავათ ვიყავი. კერძოთ კარტოზიას მიერ ჩადენილი მკვლელობის დროს სოხუმში სულაც არ ვყოფილვარ. არსებითად-კი არც ერთი ეს მკვლელობა არ ეკუთვნის დანაშაულობათა იმ რიგს, რომლისათვისაც დიდი სახელი და სისასტიკე მოითხოვოს „დამნაშავეთადმი" ვინმემ და განსაკუთრებით კი ნაფიცმა ვექილმა დადიანმა. ბ-ნი დადიანისაგან, ვიმეორებ, როგორც იურისტისაგან, ჩვენ ამის მოთხოვნის სრული საბუთი გვაქვს. მას უნდა გამოეჩინა მეტი სამართლიანობა და ობიექტივობა „დამნაშავეთადმი", რადგანაც, ჩემის ღრმა რწმენით, ნაფიცი ვექილი და იგიც სოციალისტი, მარტო მაშინ არ უნდა იცავდეს „დამნაშავეს", როცა ამისათვის დიდ გონორარს ღებულობს, არამედ ყოველთვის მაღლა უნდა იდგეს ჩვეულებრივ „ობივატელურ" შეხედულებაზე; დანაშაულობას გარემოებისა და პირობების მიხედვით უნდა უშვრებოდეს ის იურიდიულ-ფსიხოლოგიურ ანალიზს და, თუ მომენტი ბოროტ-ნებისა ან განზრახვისა აშკარაა, მხოლოდ მაშინ ითხოვდეს სახელმწიფოსაგან დამნაშავის დასჯას. ბ-ნმა დადიანმა ეს ჩვენზე უფრო კარგათ იცის, და ამიტომ მგონია ეს მან პარტიული მოსაზრებით ჩაიდინა, რაც უფრო მეტად სამწუხაროა და შეუწყნარებელი.

კარტოზიამ მკვლელობა ჩაიდინა სიმთვრალის დროს, სრულიად შოუფიქრებლად და ბოროტი განზრახვის უქონლობით. ამის დამამტკიცებელი ისიცაა, რომ კარტოზიამ თავისივე ხურჯით თავისი თავი დაიჩხა მკვლელობის შემდეგ. ექიმები ამბობდნენ, რომ ის მკვლელობის ჩადენის დროს იყო „въ состоянiи бѣлой горячки". ის დატუსაღებული ციხის საავადმყოფოში იქნა მოთავსებული და შემდეგ სასამართლოს თუ გამომძიებლის მიერ 1000 მან. თავდების ქვეშ განთავისუფლებული.

კარტოზიამ ენერგიული მონაწილეობა მიიღო ანარქიის ჩაქრობაში და შემდეგ ის გუდაუთის კომისრათ დაინიშნათ. მე იქ არ ვყოფილვარ იმ დროს, ქუთაისის გუბერნიაში ვიყავი, სასამართლო უწყებამ იცოდა და იცის, რომ ის სამსახურში იყო. საქმე მასზე წარმოებდა და დღეს, როგორც გავიგე, საბრალდებულო ოქმიც უკვე შემდგარია და უკანასკნელი სიტყვა სასამართლომ უნდა თქვას.

ეხლა წულუკიძის „დანაშაულობაზე". როგორც ზევით ვთქვი, მე ქალაქის მოურავათ ვიყავი მაშინ, მაგრამ ვიცი მაინც საქმე როგორ იყო. როგორც ოლქში, ისე ქალაქში წარმოუდგენელი ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა ხდებოდა, სწორეთ იმ დროს იწყებოდა დარჩენილი რუსის სალდათობის ხულიგნობა მთელ ქალაქში ბალშევიზმის სახით. სოხუმის წითელი რაზმი, ადმინისტრაციასთან ერთათ, ქალაქში წესიერებას იცავდა. მაგრამ ეს წესიერების დაცვა თეთრი „პერჩატკებით" კი არა, იარაღით ხელში, უჯამაგიროთ და მშიერტიტველა მთელი დღეობით და ღამეობით ქუჩაზე ყოფნით და დარაჯობით სრულდებოდა გვარდიელების მიერ, მიხ. წულუკიძის მეთაურობით. ქალაქში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული და უნდა მოგახსენოთ, იმ ენერგიული ზომების მეოხებით, რომელშიაც წულუკიძეს, როგორც მებრძოლს, პირველი ადგილი ეჭირა, მართლაც შესძლეს სოხუმელმა ჩვენმა და ბ. დადიანის პარტიულმა ამხანაგებმა, რომლებიც მაშინ ყოველთვის ერთათ მუშაობდნენ, დროებით მაინც, წესიერების დამყარება. სამიკიტნოში აკრძალული იყო ლოთობა და სამიკიტნოები მოგეხსენებათ ყოველთვის ნაძირალების ბუდეა. აი ერთ ამ გვარ სამიკიტნოში წულუკიძის უფროსობით წითელი რაზმის „ობხოდმა" მოქეიფე ნაძირალები მეარღნით და არღნის ჰკვიტინით იპოვნეს.

რასაკვირველია, ამან ბუნებრივი გულის წყრომა გამოიწვია მათში და წულუკიძე დატუსაღებით დაემუქრა. მთვრალმა მეარღნემ უარი განაცხადა დამორჩილებაზე და სწორედ ამ ჰიდილში და მუქარის დროს მოხდა უბედური შემთხვევა და უცაბედათ გავარდნილი ბრაუნინგის ტყვიით მეარღნე მოკლულ იქნა. არა თუ პირში რევოლვერის ჩადება და განზრახ მოკვლა მეარღნისა ჩაუდენია წულუკიძეს, არამედ სრულიად უცაბედათ მოხდა ეს ამბავი. წულუკიძე ამ ამბის შემდეგ ერთ თვეზე მეტი თავის ქუჩაზე არ ყოფილა. ამხანაგები მას პირდაპირ სდარაჯობდნენ, რომ თავი არ მოეკლა, ისეთ საშინელ სასოწარკვეთილებას მისცა ის კაცი. ამის შემდეგ წულუკიძე არა ერთხელ აურჩევიათ იქ გვარდიელებს თავის უფროსად და ამ გვარდიელებში ფედერალისტებიც იყვნენ, ბ-ნო დადიანო.

დღეს ბ-ნი დადიანის გამოსვლა და იმის მკვლელათ გამოცხადება ან პარტიაზე და მთავრობაზე ამის მოხვევა და დაკავშირება, მე მიმაჩნია შეცდომათ.

აჰა ეთია ჩემი მოწმობა ბ-ნი დადიანის განცხადების გამო.

**ბენია ჩხიკვიშვილი.**

## მუშათა კლუბში

**ზამთრის სეზონის გახსნა.**

12 ოქტომბერს ცენტრალურ მუშათა კლუბში მოხდა საზეიმო გახსნა ზამთრის სეზონისა. მოწვეული იყვნენ: დამფუძნებელი კრებიდან, მთავრობიდან, ქალაქის თვითმართველობიდან, მთელი შემადგენლობა კოოპერატივების დელეგატების ყრილობისა და სხვადასხვა დემოკრატიული დაწესებულებიდან. კრებას ხსნის ამხ. შ. რამიშვილი, რომელმაც კრებას მიმართა მოკლე სიტყვით. მუშათა კლუბის გამგეობის სახელით ულოცავს დამსწრეთ საზეიმო გახსნას ი. ირემაშვილი. ქალაქის თვითმართველობიდან გახსნას ულოცავს ქალაქის თავი ბენია ჩხიკვიშვილი. ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის სახელით ულოცავს დარჩია. ულოცავს აგრეთვე პ. აზატიანი. თფ. პროფესიონალური კავშირების საბჭოს სახელით ულოცავს ა. ხელაძე, რომელიც მადლობას უძღვნის ყველა დაწესებულების წარმომადგენლებს და ამბობს, რომ დარაზმული პროლეტარიატი კავშირებში მუდამ იქნებიან მატარებლები იმ თავისუფლების დროშისა, რომელიც უბოძა მათ რუსეთის დიდმა რევოლუციამ და კულტურული ამაღლებით ისინი მიაღწევენ სოციალიზმს. საქ. ცენტ. კავშირების კომიტეტის სახელით ულოცავს შ. აბდუშელიშვილი. მილოცვების შემდეგ გაიმართა სიმღერები და ქართულ-რუსულ და სომხურ ენებზე წარმოდგენები.

**ო. მაზოშვილი.**

## ქალაქის საბჭო

**13 ოქტომბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს გრ. გველესიანი.

ქალაქში ეპიდემიურ ავადმყოფობათა მიმდინარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს მედიკო-სანიტარული ინსპექტორი მეუნარგია, მოხსენება ცნობათ იქნა მიღებული.

მილიციის პროფესიონალურ კავშირის მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე, შესახებ მილიციის მდგომარეობის გაუმჯობესობისა, ქალაქის გამგეობა აცნობს საბჭოს თავის მოსაზრებას, რომლის უმთავრესი მუხლებია შემდეგი: გამგეობა საჭიროთ სთვლის შუამდგომლობაში აღძრულ მოთხოვნის თანახმად, შემოღებულ იქნას დაზღვევა მილიციის მოსამსახურეთა უბედური შემთხვევებისაგან, თუ ეს შემთხვევა მოხდა მილიციაში სამსახურის გამო და ამ შემთხვევაში მილიციის მოსამსახურე გარდაიცვალა ან შრომის უნარი დაკარგა. ეს დაზღვევა შეეხება მხოლოდ მილიციის გარეთ მოსამსახურეებს და არ შეეხება მილიციის კანცელარიაში მოსამსახურეთ.

მილიციის პროფ. კავშირი თხოულობს აგრეთვე საპენსიო ფონდის შემოღებას. გამგეობის აზრით პენსია შემოღებულ უნდა იქნას ქალაქის ყველა მოსამსახურეთათვის და მათ შორის მილიციის მოსამსახურეთათვისაც; დასაკმაყოფილებელია აგრეთვე მათი შუამდგომლობა მოსამსახურეთა დამხმარე კასის დაარსების შესახებ.

ქალაქის გამგეობა, ხედავს რა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროების მილიციის მიერ თავის მოვალეობის უფრო თავგანწირვით შესასრულებლათ, შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, რათა 1) დადასტურებულ იქნას ძირითადი დებულებანი მილიციის მოსამსახურეთა დაზღვევისა და მათთვის ურთიერთ დამხმარე კასის დაარსების შესახებ, 2) გადაიდოს მიმდინარე წლისთვის მილიციის მოსამსახურეთა დასაზღვევათ—50,000 მან. და 3) გადაიდოს ერთდროულათ მილიციის მოსამსახურეთა ურთიერთ დამხმარე კასის შესადგენათ—30,000 მან:

**გოთუა** მოითხოვს, რომ ეს საკითხი გადაეცეს განსახილველათ იურიდიულ და საფინანსო კომისიებს.

**ნ. ელიავა** მოითხოვს, რომ გამგეობის მოხსენება მიღებულ იქნას, ვინაიდან ეს საკითხი პრინციპიალურათ უკვე გარკვეული იყო, ეხლა მხოლოთ საჭირო იყო გარჩევა იმისა, თუ რამდენი თანხა უნდა გაღებულიყო ამ საქმისთვის და ამიტომ სრულებით არ არის საჭირო საკითხის გადადება.

მიღებულ იქნა ქალაქის გამგეობის მოხსენება შეუსწორებლივ.

სხვადასხვა პირთა საჩივარი სანიტარულ გადასახადის შემცირების შესახებ, გარდა სამი თხოვნისა, უყურადღებოთ იქნა დატოვებული.

საკითხი ქალაქის სხვადასხვა გასართობების ქალაქის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ გადაეცა საბოლოო დასკვნისთვის საბიუჯეტო კომისიას თანახმათ გამგეობის მოხსენებისა დადგენილ იქნა „განათლების" საზოგადოების პროფესიონალურ სკოლას აღმოუჩინოს დახმარება 5,000 მან.

გამგეობის მოხსენება შესახებ სადეზინფექციო კამერის მეეტლის ქვრივის ვასილისა ავდეევისათვის 4590 მან. დახმარების აღმოჩენის, დადასტურებულ იქნა.

მისამართ მაგიდის ყოფილ მიღებ მარიამ დვორსკაიას მიეცა ერთდროული დახმარება—4,080 მან.

ხარჯთ აღრიცხ ბიუროს ყოფილ რეგისტრატორ—პეტრე დაშტოიანცს მიეცა ერთდროული დახმარება—9,900 მ.

გადასახადთა საკრებულოში ქალაქის წარმომადგენლებათ არჩეულ იქნენ—კოსტა სალირაშვილი, არჩილ რუხაძე, მოსე სხულუხია.

ქალაქის წარმომადგენლების არჩევა 2 ვაჟთა გიმნაზიის სამეურნეო კომიტეტში მიენდო სასკოლო კომისიას.

გამგეობის მოხსენება ჯამაგირების გასასტუმრებლათ მის მიერ ერთ მილიონ მანეთის მოკლე ვადით სესხათ აღების შესახებ დადასტურებულ იქნა.

საოლქო სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომებზე არჩეულ იქნენ: ილია ფირცხალაიშვილი, სოლომონ ვადაჭკორია და თ. კიკვაძე.

დასასრულ საბჭოს მოხსენდა პროექტი 300 ქუჩისათვის სახელწოდების შეცვლისა, რომელიც მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა იმ სახით, როგორც ეს გამგეობას შეუმუშავებია.

## ს. ს. რკ. გზელთა ყრილობისათვის

**ს. ს. რკ. გზების მუშა-მოსამსახურეთა კავშირი და რკ. გზების ადმინისტრაცია.**

ს. ს. რკ. გზების მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელთა ყრილობამ, სხვა კითხვათა შორის, დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს ადმინისტრატორთა კავშირში ყოფნა არ ყოფნას. ყრილობამ ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს არ უნდა შეხედოს მარტო როგორც თავისას, არამედ საჭიროა ამ საკითხის სახელმწიფოებრივ მასშტაბით გადაწყვეტა. კერძოთ მე რომ მკითხოთ: რკინის გზის ადმინისტრაცია, როგორც აღმასრულებელი სახელმწიფოს მიერ გამოცემული კანონებისა, კავშირში არ უნდა იყოს, რაც არაფითარ ზიანს არ მოუტანს კავშირს და სახელმწიფო აპარატი კი უფრო სწორად იმუშავებს. რათა? რათა და იმიტომ, რომ ადმინისტრატორი, რომელიც დამოკიდებულია მასზე უფრო მაღალ ადმინისტრატორზე, აასრულებს სრულიად უფროსის განკარგულებას და არ ექნება მას შიში მისი გარეშე.

მე მეტყვიან: „მაშინ ხომ გაგვიბატონდნენ, მბრძანებელნი გახდნენო", მაგრამ მე მგონია ეს აზრი ფრიად შემცდარია იმიტომ, რომ ჩვენ ვიცნობთ ჩვენს მთავრობას, რომელიც არჩეულია მთელი ხალხის მიერ არჩეულ დამფუძნებელ კრებისგან და რომლებიც ხელმძღვანელობენ დამფუძნებელ კრებისვე შემუშავებული კანონებით. და თუ ის კანონები წესიერად გატარდება ცხოვრებაში, მე მგონია ამ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას კავშირი სიხარულითაც უნდა შეხვდეს. მაგრამ არის მეორე მხარე მოსაზრებისა: „ადმინისტრატორი გადიქტატორდება თავის დარგში და კანონებს აბრუნდებს უზამსო". ჩვენ აქაც გზა გვაქვს გახსნილი, ასეთ ადმინისტრატორს (ბოროტად უფლების გამომყენებელს) იგივე დამფუძნებელ კრების მიერ დაფუძნებული კანონი სასტიკათ სდევნის. მე მახსოვს—მუშათა და გლეხთა საბჭოებმა თავიანთი ძალა უფლება დამფუძნებელ კრებას გადასცეს, იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა ორი კანონმდებელი ყოფილიყო ერთ სახელმწიფოში. და თუ დიდმა რევოლიციურმა დაწესებულებამ, როგორიც იყო საბჭოები სრული ნდობით შეხვდა დამფუძნებელ კრებას და მის ადმინისტრაციას, რატომ ჩვენ რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირი უნდა ვიყოთ განსხვავებული, ჩვენც ხომ ერთი ტოტი ვართ ჩვენ მიერ მონაწილეობით დაარსებულ დემოკრატიულ სახელმწიფოსი? მაგრამ რატომ უნდა იყოს ადმინისტრატორები კავშირიდან გარეკილი, ისინიც ხომ ჩვენი ამხანაგები არიანო—მეტყვიან მე. მეც მასა ვარ, რაკი ადმინისტრატორები ჩვენი ამხანაგებია, ჩვენის ნდობით აღჭურვილი, დეე ნუ იქნებიან ისინი ჩვენგან ხელ ფეხ შეკრული, აკეთონ თავიანთი საქმე და თუ ისინი გაგვებუტებიან: „კავშირიდან რად გაგვრეკეთ, ჩვენ თქვენი აღარა ვართო", მით უარესი მათთვის, ქონის გამკეთებელს, გარცხაც არ გაუჭირდება. მაგრამ მე მგონია ჩვენში უთანხმოება ამ ნიადაგზე არ მოხდება და კავშირის ადმინისტრაციის გამოყოფით არას დაკარგავს და სახელმწიფო აპარატი მით უფრო სწორედ იმუშავებს..

**მუშა დ. ი. ლორთქიფანიძე.**

## ამიერ-კავკ. კოოპერატივ. კავშირის მე-5 ყრილობა

**მესამე დღე, 11 ოქტომბერი.**

თავმჯდომარეობს ის. რამიშვილი.

ამ სხდომაზე მოხდა მოგების განაწილება. განაწილებამდე პრეზიდიუმი აქვეყნებს ზოგიერთ კულტურულ დაწესებულებებისაგან შემოსულ თხოვნებს. ეს დაწესებულებები კოოპერატივის კავშირისაგან თხოულობენ ნივთიერ დახმარებას. ყრილობაადგენს, რომ ეს თხოვნები გადაეცეს კავშირის გამგეობას და საბჭოს, შეძლების გვაგვარად დასაკმაყოფილებლად. ყრილობა გრ. ურატაძის წინადადებით ერთხმად გამოყოფს ამ თხოვნებიდან ერთ თხოვნას, ეს არის თხოვნა საქართველოს ჯარის კულტურულ განმანათლებელი სექციისა, რომლის სასარგებლოდ ყრილობამ ერთხმად გადასდო 20,000 მანეთი. გამგეობის მიერ წარმოდგენილია 1918 წლის 1,321,825 მან. 86 კაპ. მოგების შემდეგი განაწილება:

1) სათადარიგო თანხაში უნდა გადაირიცხოს 20 პროც.. რაიც შეადგენს 264,355 მან.

2) სომხეთ-ადერბეიჯანის-საქართველოს კოოპერატივთა კავშირებისაგან შემდგარ საბჭოს უნდა მიეცეს სავალდებულო საპაიო გადასახადი 50,000 მ.

3) კოოპერატიულ სკოლას 50,000 მ.

4) თფილისის პროფ. კავშირთა საბჭოს მუშათა კლუბს 10,000 მანეთი.

5) მუშათა კლუბს ქუთაისში ათიათ სი მან.

6) თფილისის სახალხო უნივერსიტეტს—20,000 მ.

7) ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტს—10,000 მ.

8) საკოოპერაციო კარგი ნაწარმოების დამწერთათვის საჩუქრათ მისაცემათ 20,000 მ.

9) სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებს 43,095 მ.

10) საკოოპერაციო სკოლის ფონდათ—200,000 მ.

11) კოოპერაციაში მომუშავეთათვის სანატორიუმის [illegible] 200,000 მ.

12) [illegible] სამზადისო [illegible] ფონდში—66,091 მ.

13) საწარმოვო დარგის ფონდათ—137,182 მ.

14) კავშირის კულტურულ განმანათლებელ საქმეებზე გაწეულ ხარჯებისაგან გამოწვეულ დეფიციტის დასაფარავად—180,000 მ.

15) მოგებისგან გადარჩენილ თანხის 50 პროც. საბრუნებელ კაპიტალის შესაქმნელათ—66,991 მ.

ყრილობას ამ განაწილებაში შეაქვს შემდეგი შესწორება: საკოოპერაციო სკოლისათვის უნდა გადაიდოს 100,000 მან. ნაცვლად 50,000 მან. ეს ფულები კლდება ყრილობის დადგენილებით მე-14 მუხლს. მე-9 მუხლიდან (სხვადასხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებისათვის 43,095 მ.) 20 ათასი მანეთი ყრილობამ ერთხმად გადასდო ჯარში კულტურულ მუშაობისათვის თანახმად სექციის თხოვნისა. ამ შესწორებით გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტები მოგების განაწილებისა ყრილობისაგან დამტკიცებულ იქნა. სხდომა შეწყდა 15 წუთით. დასვენების დროს კინემატოგრაფის ლენტზე გადაღებულ იქნა ყრილობის მთელი შემადგენლობა, შემდეგ ფრაქციები ცალ-ცალკე.

სხდომის განახლების შემდეგ ევგ. დარჩია (გამგეობის თავმჯდომარე) მოხსენებას აკეთებს გამგეობის 1919 წ. საქმიანობის შესახებ. მომხსენებელი ყრილობას აწვდის ზოგად ცნობებს გამგეობის მოქმედებისა და დასახულ გეგმის შესახებ, აღნიშნავს იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც უხდებოდა და ამ ჟამათაც უხდება კოოპერაციას მოქმედება, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კავშირის ნაყოფიერ მუშაობას დიდათ ხელს უშლის ნივთიერი მდგომარეობა. მიუხედავათ ამ მძიმე პირობებისა კავშირს ბევრი რამ თვალსაჩინო საქმე გაუკეთებია: დაუარსებია შემსყიდველი პუნქტები ბაქოში და ფოთშიაც ცდილან საზღვარ-გარეთულ ფირმებთან დაეჭირათ კავშირი, გაუგზავნიათ თავისი წარმომადგენელი სტამბოლში საქონლის შესასყიდათ, კიდევაც შეუსყიდიათ და მოგებაც თვალსაჩინო უნახავთ; მოხსენებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ გამგეობას თავისი მოქმედებით ნიადაგი მოუმზადებია მომავალი ფართე მუშაობისათვის. მომხსენებელი სთხოვს ყრილობის მონაწილეთ, რომ ყველა კოოპერატივებმა იგრძნონ თავიანთი თავი კავშირის ორგანიულ შემადგენელ ნაწილად და მას აღმოუჩინონ ნივთიერი დახმარება. ყრილობას უნდა მოესმინა სხვა მოხსენებაც, მაგრამ სიგვიანის გამო გადაიდო.

## „სახალხო საქმის" რაჭველ მოლაყბეს

ამას წინეთ „სახალხო ფურცლის" 592 №-ში წერილი იყო მოთავსებული რ. ლ—ის ფსევდონიმით.

ამ წერილში ბ. რ. ლ—ი ჯერ საქართველოს მთავრობას და მმართველ პარტიას უწყრება: რატომ ოსეთის გზაზე ავტომობილები სასურველის წესრიგით არ დასრიალებენ, ისინი არჩევნების წინ შთამბეჭდილების მოსახდენათ გამოიყვანეთო. შემდეგ ნიშანში ამოღებული ვყევარ მე და მაბრალებს: რომ ოთხი საზოგადოების მიტინგზე კანონი ტყით სარგებლობის შესახებ ყალბად განმემარტოს—თითქოს ხალხი ტყის დიდსა და პატარა მოხელეებს მიუსია, რადგან ეს უკანასკნელნი სოციალ-დემოკრატები არ არიან; რომ ქვეშის საზოგადოებაში დასაზიარებელი ადგილები და ჩამონართმევი წისქვილი მეთაურებმა და მეწმევკების ნათლია-ნათლიმამებმა დაინაწილეს; რომ მე შური და მტრობა ვიცი, ყოველივეს პარტიული საზომით უდგები, ჩემი ვიწრო პარტიული შეხედულების მსხვერპლი გახდა ჭრებალოს კოოპერატიული ამხანაგობა, სადაც უსწავლელ ხალხს ვაყენებ, და საიდანაც ამას წინეთ ჩემის კურთხევით ვაჭრებმა საქონელი იაფად იყიდეს და მომხმარებლებმა იზარალეს.

ჩემი მოქმედება აქ დასმული საკითხების შესახებ ისე აშკარათ და სახალხოთ მიმდინარეობდა ყოველთვის, რომ ერთობ წინდახედულებას მოკლებული უნდა იყოს კაცი, რომ მისი ამ სახით გადაკეთება და ცილისწამება გაბედოს, როგორც ამას ბ. რ. ლ—ი სჩადის.

ბ. რ. ლ—ის რომ ვყვევ, ეს არც მჯონია და არც მაქვს აზრათ, მაგრამ ერთი მსმენელი და დამჯერე ამ მეზღაპრესაც ყოლია და მისი სიცრუის მიხედვით ბ. ქ. რაჭველმაც გამკრა ქიშტი და ამას წინეთ ერთ ერთ თავის წერილში, როგორც მახსოვს ამბობდა: წვრილფეხა პროპაგანდისტები კი არა, დამფუძნებელი კრების წევრი, რ. ყ—ნი სოფლებში დადის და დემაგოგიური მაზნით ხალხს ტყებს ურიგებსო. ამ სახით

ძალა უნებურათ მიხდება ორიოდე სიტყვით უპასუხო ბ. რ. ლ—ის.

რაც შეეხება ავტომობილების ოსეთის გზაზე მიმოსვლის უწესრიგობას, აბა სად არის, ბ. რ. ლ—ო, მიმოსვლა დღეს წესიერათ მოწყობილი? ჩვენს პატარა, ნორჩ რესპუბლიკაში ახლათ შემოღებული ავტომობილების მოძრაობა კი არა, ყველგან ყოველგვარი მოძრაობა შეფერხებულია და რათ ღირს ერთი თქვენისთანა მსაჯულები, რომ მთავრობები და მმართველი პარტიები ჩამოახრჩონ!..

არჩევნების წინ მთავრობამ და მმართველმა პარტიამ თუ ავტომობილები გამოუშვეს, განა ეს დანაშაულია? თქვენის აზრით არჩევნების წინ უნდა გამოხვიდე და უნდა სთქვა: არც ავტომობილი მაქვს, არც ცხენი მყავს, ვერც გზას გავაკეთებ, არც რაიმე საქმისათვის ვარგივარ, აბა მოდით და ხმა მოგვეცით თქო. ასეთი გზით სიარული ჩვენს მთავრობას და მმართველ პარტიას არ გამოადგება, და ასეთი გზა თქვენთვის დაგვილოცნია ბ. რ. ლ—ო!

ტყეების შესახებ ჩემი „დანაშაული" შემდეგშია: ზოგიერთი ტყის მოხელეები, ყოვლის უწინარეს ისინი, ვისაც ბ. რ. ლ—ი ესარჩლება, ტყის მასალაზე ბაჟის დადებით უკმაყოფილო გლეხკაცობას ახელებენ და პარტიული თუ სხვა მიზნებით ეუბნებიან: „აბა კიდევ მიეცით ხმები პირველ ნომერს, მოგთხარათ თუ არა თვალიო" და, ამათ შესახებ უთხარი მე ხალხს, მითქვამს ზევრჯელ და ვეტყვი შემდეგშიც, რომ ასეთების ანკესზე არ უნდა წამოეგონ და თუ კანონი ტყით სარგებლობის შესახებ მკაცრათ და საძნელოთ მაჩნია, მისი ადგილობრივი პირობების, ზნის და ჩვეულების მიხედვით, შესწორება უნდა გამოითხოვოს შესაფერი შუამდგომლობის სახით. სად არის აქ ან ტყეების დარიგება და ან მოხელეებზე მისასევი მოწოდება? ალბათ ბ. რ. ლ—ის აზრით, როცა ხულიგანები ხალხს ეუბნებიან: „პირველმა ნომერმა დაგლუპათ, მისცხეთ იმათო", მაშინ ჩვენ ზურგი უნდა მიუშვიროთ და ვსთქვათ: „ხულიგანები მართალს ამბობენ, აჰა თქვენი კეტები და ჩვენი ზურგიო". თუ ასეთია ბ. რ. ლ—ის აზრი, ჯერ ღმერთმა ადღეგრძელოს, მაგრამ ბოლოს მისი თავი სპირტში უნდა შეინახოს კაცმა, რომ შთამომავლობას ასეთი ჭკუის ბუდე არ დაეკარგოს..,

ჭყვიშის საზოგადოების გასაზიარებელი ადგილები და ჩამორთმეული წისქვილი თუ მეთაურებმა და მენშევიკების ნათლია ნათლიმამებმა გაინაწილეს მერე რა, განა არ შეიძლება რომელიმე მეთაური ღარიბი კაცი იყოს და მიიღოს რამე? ან ნათლია ნათლიმამობა რა შუაშია? თუ მენშევიკს ნათლიმამა იქენი, არც უნდა ჭამო, არც უნდა სვა და ცხოვრებაზედაც ხელი უნდა აიღო? რომელი გიჟი მოგანათვლინებს შვილს ამ პირობით?!

ჭრებალოს კოოპერატივში ძველი საქონელი ეწყო და არავინ არ ყიდულობდა. ზოგი საქონელი, მაგალითად ფეხსაცმელები თაგვისაგან იყო დახრული. რამოდენიმე გამგეობა ამოირჩია ამხანაგობამ, მაგრამ არავინ არ ისურვა ამ საქონლის ხელის მოკიდება და გაიქცენ. ბოლოს მაღაზიის გამგესთან ცოტა აყალ მაყალი შედგა საქმის ცუდათ წარმოების გამო, იგი შეშინდა და ბ. რ. ლ—ის ამხანაგის, პოპი გაგოშიძის შუაკაცობით, საქონელი თითონ მიიღო მაღაზიის მიერ გასაყიდათ ნაანგარიშევ ფასებში. სად არის აქ ზარალი და ამხანაგობის ინტერესების ღალატი? ამაებს ალბათ ბ. რ. ლ—ი იმაში ხედავს, რომ აღებული საქონელი ყოფილმა გამგემ სადღაც წაიღო და ვიღაც სპეკულიანტს ძვირათ მიყიდა. ერთმა სპეკულიანტმა მეორეს საქონელი როგორ მიყიდა ან სპეკულიანტებმა რაც ჩაიგდეს, იმის მიხედვით კოოპერატიული ამხანაგობის ანგარიშის შედგინა და დასკვნის გამოყვანა განა შეიძლება? ამას გარდა, იმ დროს, როცა ამ საქონლის მიცემაზე კითხვა იდგა ბ. ლ. კიკვიძე, რომელიც ბ. რ. ლ—ის არც ისე შორებელი უნდა იყოს, მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობდა, ხოლო ამ უკანასკნელის პარტიის კაცი და ამხანაგი ბ. პოპი გაგოშიძე შუაკაცი იყო. თუ ჩვენ გაგვიწყრა ღმერთი და შევცდით, ეს პატივცემული პირები მაინც როგორ შესცდებოდნენ?! ყოველივე რაც ამის გარშემო მოხდა, მოხდა ხალხის დასწრებით და რჩევით, და ეხლა ამის დანაშაულათ შეთითხნა და ბრალდებათ წაყენება განა პატარა კაცის სულმდაბალი თავდასხმა არ არი?

კოოპერატივში თავის დღეში არ ყოფილა პარტიული შემადგენლობა. ეს რომ ასეა იქიდანაც სჩანს, რომ ბ. პოპი გაგოშიძე ამ კოოპერატივის დაარსებიდანვე შიგ მუშაობდა ხან გამგეობის წევრის, ხან გამგის და ხანაც მოანგარიშის სახით. ბოლოს ჯამაგირის პირობა აღარ მოეწონა და ამის გამო წავიდა. ბ. ლ. კიკვიძე, რომელიც, ვიმეორებ, ბ. რ. ლ—ის შორეული არ უნდა იყოს, ამ ამხანაგობაში ხან გამგეობის წევრათ იყო, ხან სარევიზიო კომისიაში ამოირჩიეს, უკანასკნელის წევრათ ეხლაც ითვლება, მაგრამ არ მუშაობს და ეს რა ჩემი ბრალია? ვინც არის თქვენი ჯგუფის, ბ. რ. ლ—ო, ზოგი კოოპერატივში მუშაობს, ზოგი სამკითხველოში, ზოგიც ბანკში და სხვა რა ვქნა, მოგეხსენება მე მოსე არა ვარ რომ დავკრა კლდეში ჯოხი და ფედერალისტი გამოვიყვანო.

ვსთქვათ, კოოპერატივის საქმე ჩვენ წავახდინეთ, თქვენ რა გააკეთეთ ბ. რ. ლ—ო? მოხუცებულ „ბარიშნასავით" ყოველივეს რომ იწუნებთ, ნუ თუ ეს გგონიათ დიდი საქმის კეთება, ნუ თუ მაგით გინდათ იმის დაფარვა, რომ თქვენი საქმიანობა მეჭორეობით იწყება და წალმა უკულმა უადგილო კბენით თავდება? ჩემგან შურსა და მტრობას თქვენ არ შეუწუხებიხართ ბ. რ. ლ—ო. ყოველ შემთხვევაში რადგან ამაზე სიტყვა ჩამოაგდე, უნდა მოგახსენოთ, რომ ღვთისა და კაცის მოსატყუებლათ გუნდრუკი და საცეცხლური არას დროს არ მჭირია ხელში და არც მინდა დავიჭირო.

რ. ყიფიანი.

## სამხ. ტყვეების ჭირისუფალთა საყურადღებოთ

ვისაც გერმანიაში და ავსტრია-უნგრეთში სამხედრო ტყვეები ჰყოლია, იქიდან რაიმე ცნობა მოსდიოდათ და ის პირები დღესაც არ დაბრუნებულან, ასეთების ჭირისუფალს, ნათესავ-მეგობრებს შემდეგი ვუპასუხო:

ავსტრია-უნგრეთში მომხდარ რევოლიუციის შემდეგ დიდი ნაწილი ქართველ ტყვეებისა, თავიანთი სურვილით დასტოვეს ლაგერი და გამოეშურნენ რუსეთისაკენ. იმ დროს გალიციაში დიდი სამოქალაქო ომი იყო და ბევრი მათგანი გზაზე შერჩა, ბევრიც საზღვარზე გადმოვიდა და დღესაც რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში იმყოფებიან. უმნიშვნელო ნაწილი დღესაც ავსტრია უნგრეთშია

რაც შეეხება გერმანიაში, ტყვეების მცირე ნაწილი აგრეთვე მოიქცა და ასეთივე ბედი ეწვია პოლონეთში, მხოლოდ დარჩა რამოდენიმე ასეული თვით გერმანიაში იმ მოსაზრებით, რომ სამუდამო დაოჯახებას მოჰკიდონ ხელი.

რაც შეეხება ამხ. გიორგი ექვთიმეს ძე ჯვარიშეიშვილის საპასუხოდ, შემიძლია ვსთქვა: „ის ხმები, რომ გერმანიაში ტყვეების „საკონცენტრაციო" ყაზარმებში ადგილი ჰქონდეს ტყვეების მოწამვლას ტყვეებისავე მიერ, ფულისა და სხვა ქონების მითვისების განზრახვით",—ასეთი არ გამიგონია. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებში აშკარა მკვლელობები იყო.

დღეს ორივე სახელმწიფოში, გერმანიისა დაყოფილ ავსტრია-უნგრეთში ვინც ცოცხალი იმყოფებიან, საშუალება აქვთ თავიანთი ვინაობა და მისამართი აცნობონ საქართველოს მთავრობის ბერლინელ წარმომადგენელს, რომ არც ერთი ქართველი სამხედრო ტყვე თავის უნებლიედ არ დარჩეს უცხოეთში.

წარმომადგენლობის მხრით დიდი ზრუნვაა ამის შესახებ.

ერისტო დავითის ძე კაპარავა.

## ცრუ „დონოსჩიკები"

3 ამა ოქტომბერს, გათენებამდი იქმნებოდა პირველი საათი და მგონი მეტიც, რომ ჩემი ოთახის კარებზე მოესმა კაკუნი. მე გავაღე კარები. ოთახში შემოვიდა განსაკუთრებული რაზმის უფროსი ბ. კიდია, რამოდენიმე უფროსი მილიციონერების თანხლებით და გაჩხრიკეს მთელი ოთახი. ჩამომართვეს რევოლვერი. ამის შემდეგ შეადგინეს ოქმი და წამიყვანეს დასახელებულ რაზმის უფროსის კანცელარიაში. იქ დავხვდა მგონი უფროსის თანაშემწე, რომელმაც გამანთავისუფლა და მითხრა თუ, როდესაც წარვადგენდი რევოლვერის ნებართვის მოწმობას, დამიბრუნებდა მას. ამის შემდეგ გამოირკვა, რომ მე დავებეზღებინე ვიღაცას, ვითომდა მე ვიყო ბალშევიკი და მქონდეს მათი მოწოდების ფურცლები, როგორც თფილისში, ისე პროვინციებში გასავრცელებლად. სიმართლე უნდა ვსთქვა, ვერ წარმომიდგენია თუ ვის შეეძლო ჩემზე გაეკეთებინა ასეთი დაბეზღება, იმიტომ, რომ 15 წელიწადია რაც მე ვეკუთვნი სოციალდემოკრატიულ პარტიას და ვმუშაობ ამ პარტიაში. ერთხელაც არ მიფიქრია სხვა პარტიაში გადასვლა. და ამიტომ ვიყავი ბალშევიკების სასტიკი იდეური მოწინააღმდეგე.

მე იჭვი შემაქვს იმ პიროვნებაში, ვინც ეს მოიმოქმედა. მე ვსთხოვ მას, ვისაც ეს ეხება, მოახდინოს სასტიკი გამოძიება ჩემი პიროვნების შესახებ და თუ დარწმუნდეს, რომ ის შეცდომაში იქნა შეყვანილი, პასუხისგებაში იქნეს მიცემული დამბეზღებელი.

დათიკო ულენტი.

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი**. 9 ოქტომბერს შესდგა დეპოს ორგანიზაციის ს. დ. მ. პ. წევრთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 120 დე წევრი. დღიურ წესრიგში იყო მომავალი რკ. გზ. ყრილობაზე დელეგატთა არჩევნები. არჩევნების შესახებ ილაპარაკა ქვერაიონ. კოლ. თავმჯდომარემ ილიკო მანჯგალაძემ. შემდეგ ქვერ. კ. წამოყენებული კანდიდატთა სია ერთხმად იქნა დამტკიცებული. პლ. თ.

—

**ხ. კოდაში** (თფ. მაზრა). 4—5 ოქტ. შესდგა სოც. დემოკრატიული ორგანიზაციის კოლექტივის კრება. კრებას ყველა წევრები დაესწრო. გამოირკვა, რომ ბორბალოში ვერ არის მტკიცე ორგანიზაცია. დანარჩენებში პარტიული მუშაობა, წევრთა ჩაწერვა და სხვა კარგათ მიმდინარეობს. 100 წევრს პარტიული საწევრო გადასახადი ამა წლის ბოლომდი გადაუხდიათ. დანარჩენებიც ნაწილი გადახდილი აქვთ, უკანასკნელ თვეებისას ეხლა იხდიან. შემოსავალ გასავლის საქმე და წევრთა რეგისტრაცია საუცხოვოდ არის დაყენებული.

ერთად ერთი ნაკლი ორგანიზაციის აღმოჩნდა ის, რომ იდეური მუშაობა პარტიის წევრთა შორის ძალიან სუსტია, რაც წინ ეღობება პარტიის ზრდას, პარტიული კრებებიც იმართება ძვირათ. კოლექტივმა დაადგინა მიღებულ იქნეს ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლათ.

მდივანი ვ. ბაქრაძე.

## მუშათა შორის

**ჭიათურა**. შავი ქვის ვაგონების მტვირთავ არტელის წევრების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! ვინაიდან ჩვენ ბევრი სერიოზული კითხვები გვიდგას წინ, რომლის გადაწყვეტაში ყველა არტელის წევრებმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, გატყობინებთ და გთხოვთ 20 ოქტომბერს ორშაბათს დაესწროთ ამ კრებას ყველა არტელის წევრებმა. წინააღმდეგ შემთხვევაში თანახმად არტელის წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა გამორიცხულ იქნებიან არტელის წევრობიდან ყველა, თუ მას საპატიო მიზეზი არ ექნება, როგორიცაა: ავადმყოფობა, რევოლიუციონურ ორგანიზაციებში მუშაობა, ჯარში და გვარდიაში ყოფნა. მხოლოდ ამ უკანასკნელ ორს გარდა ზემოთ ჩამოთვლილ საპატიო მიზეზების შესახებ წერილობით უნდა აცნობოთ არტელის წევრთა საზოგადო კრებას ან რწმუნებულს.

ჭიათურის ვაგონების შავი ქვის არტელის მტვირთავ მუშების საზოგადო კრების მონდობილობით **მ. დობორჯგინიძე**.

## პროვინცია

**გურიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა.**

21 სექტემბერს, ქ. ოზურგეთში შესდგა გურიის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. 55 დელეგატიდან ყრილობას დაესწრო 35. ყრილობა აღიარებულ იქნა კანონიერად. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ავთონ ცინცაძე, მდივნათ რაფიელ ჩხაიძე. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: 1) მასწავლებელთა კავშირების სტრუქტურა; 2) მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა; 3) მღვდელი-მასწავლებელი; 4) სკოლის გამგეების ჯამაგირები; 5) სამაზრო ცენტრის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა და 6) საწევრო გადასახადი.

კითხვა მასწავლებელთა კავშირების სტრუქტურის შესახებ იწვევს კამათს. ყველას უდაოდ და აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ცენტრის შექმნა და მაზრაში—სამაზრო ცენტრის დაარსება. დავას იწვევს მაზრაში არსებული ფილიალური განყოფილებების გაუქმების და მათ ნაცვლად პატარა იაჩეიკების შექმნის საკითხი. ამ საკითხში ორი მიმდინარეობას აქვს ადგილი: ერთი იცავს მასწავლებელთა კავშირებს, პატარა იაჩეიკების სახით თემების ფარგლებში, მეორე მოითხოვს უფრო მსხვილ გადაჯგუფებას რამოდენიმე თემის მასწავლებელთა შეჯგუფების სახით. პირველმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა ჯერ კიდევ 17 აგვისტოს სამაზრო ყრილობაზე, რომელსაც 92 დელეგატი დაესწრო. კამათის შემდეგ ამ ყრილობაზედაც გაიმარჯვა პირველმა მიმდინარეობამ, რომელიც გამოიხატება შემდეგში: არსდება მასწავლებელთა პატარა იაჩეიკები თემების ფარგლებში, თითოეულ ათ კაცზე ირჩევა ერთი დელეგატი სამაზრო ყრილობისათვის, თუ შემდეგი ათეული უახლოვდება ათს და ხუთს აღემატება, მაშინ ირჩევენ მეორე დელეგატს. თუ თემში მასწავლებელთა რიცხვი ძლიერ მცირეა (იგულისხმება ათზე ნაკლები) ეწერებიან მახლობელი თემის იაჩეიკაში.

ამ პროექტს მომხრეები ასაბუთებენ შემდეგით: მასწავლებელთა პროფესიონალური კავშირის მიზანია ზრუნვა ეკონომიურ-უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესება დაცვაზე და აგრეთვე მასწავლებელთა ინტელექტუალურ ზნეობრივ მხარეების ამაღლება განსპეტაკებაზე. ეს მთავარი მიზნები ყველა კავშირების, როგორც სრულიად საქართველოს მასწავლებელთა მთავარ, აგრეთვე სამაზრო და ქვემდებარე (იაჩეიკები), კავშ. მოქმედების ფუნქციებში შედის, რასაკვირველია სხვა და სხვა რაოდენობით. შემოდის წინადადება, რათა მთავარ სამაზრო გამგეობასთან დაარსდეს სამი სექცია: პირველ-დაწყებითი, უმაღლეს დაწყებითი და ქალაქის სკოლების მასწავლებლებისა; ეს წინადადება და დაწვრილებითი პროექტი ყრილობაზე არ განხილულა; მისი განხილვა დაევალა ახალ არჩეულ გამგეობას. 2. მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის შესახებ. კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: ეთხოვოს სადაც ჯერ არს, რათა არსებული ჯამაგირები (800 მ.) გადიდდეს 100 პროცენტით პირველ სექტემბრიდან, თუ ეს ნორმა ჯამაგირებისა არ იქმნა ცხოვრებაში გატარებული 1 ნოემბრამდე, მასწავლებლობა იძულებული იქნება სამსახურს თავი გაანებოს და სხვაგან ეძიოს საარსებო ლუკმა; ეს გადაწყვეტილება ვრცელდება უმ. დაწყ. სკოლების მასწავლებლებზედაც. 3. ყრილობა მწუხარებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მიუხედავათ მრავალი გაფრთხილებისა და ოფიციალური მიწერილობებისა მღვდლები მაინც განაგრძობენ მასწავლებლობას და ეკლესიაში მღვდელ მსახურებას. ყრილობამ ამის შესახებ დაადგინა: ეცნობოს ასეთი მდგომარეობა განათლების განყოფილებას და აგრეთვე მიღებულ იქმნას განყოფილების მიერ ზომები, რათა განკარგულება ამ საგანზე აუცილებლად ტარდებოდეს ცხოვრებაში. სკოლის გამგეების ჯამაგირების შესახებ ყრილობამ გადასწყვიტა, გადიდდეს ჯამაგირები გამგეებისა—შედარებით მასწავლებლის ჯამაგირებთან ზედ მეტი შრომის გამო.

პროფესიონალური კავშირის კასის გასაძლიერებლად შემოღებულ იქნა 1 პროც. გადასახადი ჯამაგირისა, რომლის 75 პროც. რჩება ადგილობრივი თემის კავშირის კასაში, დანარჩენი კი გადადის სამაზრო ცენტრის გამგეობის კასაში; სამაზრო ყრილობაზე დასასწრებლად დელეგატის გაგზავნისათვის საჭირო ხარჯებს კისრულობს თვით თემის გამგეობა—თავის საშუალებიდან. ყრილობის დასასრულს მოხდა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები; გამგეობაში არჩეულ იქმნა,—პირველ დაწყებითი სკოლიდან: კარპეზ ბარამიძე და სოლომონ ზურაბაშვილი, უმაღლეს დაწყებითი სკოლიდან: სოსო მელიქიშვილი და ანდრო დობორჯგინიძე, ქალაქის სკოლიდან კი—პარმენ თოთიბაძე; კანდიდატებათ: მირიან რამიშვილი და ყარამან ქარცივაძე. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნა: ევგენი ოდიშარია, გრიშა მახარაძე და რაფიელ ჩხაიძე.

ყრილობის მდივანი **რაფიელ ჩხაიძე**.

## წერ. რედაქციის მიმართ

პატივცემულო ამხ-გო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ გაზეთ „ერთობის" საშუალებით გამოუცხადო ამხანაგთ ვარლამ დომენტასძე ტუსკიას, ბიკტორ პეტრესძე ჰანტურიას, ივანე დარახველიძეს და ლავრენტი მაქსიმესძე სიხარულიძეს ჩემის და ჩემთან ერთად ქ. ეგერში (ავსტრია) ყოფილ ავადმყოფ და ძლიერ გაჭირვებულ თანამოძმეთა სახელით დიდი ხნით გულთ ნადები დიდი მადლობა, რომლებმაც ჩვენ ტყვეობის შავ მწუხარე დღეებში დახმარება გაგვიწიეს ამანათების გზავნით. მათმა კარგმა მოქმედებამ კერძოთ მე მომცა მეტი სიმხნევე და ძალ-ღონე, რომ მეც ჩემზე უფრო გაჭირვებულ თანამოძმეთ შეძლების და გვარათ დავხმარებოდი.

პატივისცემით **ვლ. ასკურავა**.

## ანგარიში

შეწირულებათა ომის საჭიროებისთვის შეგროვილი ჭიათურის ფრონტის დამხმარე კომიტეტისაგან ქ. ჭიათურაში და ჭიათურის რაიონში.

**შემოსავალი**: 1. ჭიათურის მცხოვრებთაგან 17.473 მ. 75 კ., 2. ერთი ქვაბი ნავთ. გაყიდვისაგან 71.095 მ. 80 კ., 3. შემოწირულება სოფლებიდან: ა) სოფ. ზოდი 2.701, ბ) წირქვალი 1.100, გ) წინსოფელი 300, დ) ვაჭევი 300, ე) ზედ რგანი 233 მ., ვ) სკინდორი 384 მ., ზ) დარკვეთი 1.257 მ., თ) ხრეითი 1.400 მ., ი) რცხილათი 452 მ., კ) ხვაშეთი 800 მ., ლ) ჭილოვანი 1.276 მ., მ) ბიღა 505 მ., ნ) ქვაციხე 965 მ., ო) ზედუბანი 600 მ., პ) ნიგოზეთი 33 მ., ჟ) ჭილოვანი 223 მ., რ) ჯვარიწერი 432 მ. 25 კ., ს) საკურწე 169 მ., ტ) მღვიმევი 1.010 მ., უ) ხრეითი 1.532 მ., ფ) ნავარძეთი 134 მ. 70 კ., ქ) რგანი 313 მ. სულ 16 145 მ. 95 კ. 4. შემოწირულება ნატურათ: ა) სიმინდი 435 ფ. 15,225 მ., ბ) ლობიო 115 ფ. 3.450 მ., გ) კართოფილი 443 მ. 30 კ., დ) ტყლაპი, ნიორი 60 მ. სულ 19 178 მ. 30 კ. მთელი შემოსავალი—123.893 მ. 80 კ.

**გასავალი**: 1. სხვად სხვა წვრილმანი ხარჯები 589 მ., 95 კ., 2 ყალბი ფულები 160 მ. 50 კ., 3. 52 ცალი დაკარგული ტომრების ფასი 550 მ. სულ 1.300 მ. 45 კაპ. წმინდა შემოსავალი 122 593 მ. 35 კ. აღნიშნული ფული გადაეგზავნა მთავარ კომიტეტს.

ჭიათ. კომ. თავმჯდ. **პ. მოდებაძე**
ხაზინადარი **ალ. დარახველიძე**
მდივანი **ი. ხარატიშვილი**

—

**რედაქციისაგან:**

დამფუძნებელი კრების წევრი მუხრან ხოჭოლავა გვთხოვს გამოვაქვეყნოთ შემდეგი: სოჭში ყოფნის დროს, როცა იქ შემოიჭრა მოხალისეთა რაზმი, ქართველმა საზოგადოებამ დიდი დახმარება აღმოუჩინა მის თანამშრომელთ, აგრეთვე ტყვეთ ჩავარდნილ ჯარისკაცებს და დაპატიმრებულ ოფიცრებს. სხვათა შორის ქართველების სახელით შემოიტანე: ალექსანდრე ბლაგიძემ, ონისიმე კვანტალიანმა და ს. გამრეკელაშვილმა შვიდი ათასი (7000) მ., რაც დაჭრილ და დატყვევებულ ჯარისკაცებს მოხმარდა. შემომწირველი იყო ასი კაცი, სულ შედგა 7,725 მ. შემომწირველთა სიას უადგილობის გამო ვერ ვბეჭდავთ ბლაგიძის განცხადებით დანარჩენი 725 მანეთიდან, 650 მ. ნ. არის დახარჯული ჯარისკაცი ილია სოფრომაძეზე, ხოლო 75 მან კი შემოტანილ იქნა რედაქციაში.


## განცხადებანი

3 ოქტომბერს სადღაც წავიდა და აღარ დაბრუნებულა სახლში **აშოტა გრიგოლის ძე შახნაზაროვი**, 13 წლის ყმაწვილი. ტანთ აცვია წითელი ხალათი, შარვალი მიხაკის ფერისა. ფეხზე დაგლეჯილი ჩუსტები. თუ ვინმემ რამე იცის, ან გაიგოს ამ ყმაწვილის შესახებ ვსთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: მე 6 სამილიციო უბანი, პალიჩენის ქუჩა, № 30. გრიგოლ შახნაზაროვს. (2681—2—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ზ. მიზრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი **დ. მ. ჯავახიშვილი**.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი **ა. ლივენშტეინი**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათა. **რენტგენის სხივები**. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი **ნ. დ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

ექიმი **ა. დ. [illegible]**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—[illegible] ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

მედიცინის დოქტორი
**ა. ა. [illegible]**
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო სხივებით მკურნალობა [illegible]. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

დოქტორი **[illegible]**.
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. ვერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაბერეჟნაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

კბილის ექიმი
**[illegible]**
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

დოქტორი **ი. ი. [illegible]**.
სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტირიზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ- საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი **ბესარიონ [illegible]**
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყური და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი **მ. [illegible]** ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული **ლაბორატორია** იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროჰეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. **26 მაისის** (რილას) ქუჩა. გაბაიანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი **[illegible]**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914"- ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

ექიმი **დ. ა. [illegible]**.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი **მ. გოლდშტეინი**.
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7 დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი **რ. ბ. [illegible]**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას **სიფილისის წამლობა** (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი **იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი **ა. ი. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: [illegible] ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

## სახელმწიფო თეატრი

(ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით)
ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს მეორეჯერ ა. წუწუნავას ახალი გეგმით

**ფაუსტი** [illegible]

მონაწ.: ვოლ-ლევიცკი, ალექსკი, როგაჩევსკი, თარხნიშვილი, საბინინი.
ხუთშაბათს, 16 ოქტომბერს—კარმენი. (ნ. 1—1)

## ქ. ჭიათურის სრულუფლებიან გიმნაზიაში

საჭიროა მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებელი.
ჯამაგირი ექნება 18 გაკვეთილისა. კლასის დამრიგებლობა და პედაგოგიური საბჭოს მდივნობა.
მისამართი: ჭიათურა, გიმნაზიის დირექტორს. (2680—2—2)

იბეჭდება და პირველი ნოემბრისათვის გამოვა გასასყიდათ
საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა

## პირველი ყრილობის ოქმები

წიგნი იქნება დაახლოვებით 80—100 გვერდი და ეღირება კავშირებისათვის 12 მან., კერძო პირებისათვის კი 15 მან. წიგნების შეკვეთა შეიძლება მხოლოდ საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმ. სრულებელ კომიტეტში: თფილისი, რუსთაველის ქ., № 15, არამიანცის სახლი, მეოთხე სართული, მე 10 ოთახში. (ნ. 5—2)


მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა რეხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1